გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

# აჭარა

ბამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№36 (24.916) სამშაბათი, 12 - 13 აპრილი, 2022 წ. 50 თეთრი

### გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მაღალ მთაში - თოვა, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 8-13, შიდამთიან რაიონებში - 5-10, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 12 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 754 მილიმეტრი.

ხვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსა N იუსი

ლუქსემბურგში ვიზიტით მყოფი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის შეხვდა, რომელმაც მას ევროკავშირში გაწევრიანების კითხვარი გადასცა, - ამის შესახებ ინფორმაცია საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა. „ეს არის ლოგიკური და ევროკავშირის პროცედურით გათვალისწინებული ნაბიჯი, რაც მოიაზრებს ქვეყნის მზაობის შეფასებას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, პოლიტიკური, ეკონომიკური და კანონმდებლობის თავსებადობის მიმართულებით,“ - აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

* * *

საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული რუსეთის ფედერაციის მორიგი უკანონო აქტი უწოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 10 აპრილს ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას. „ხსენებულ ე.წ. არჩევნებს ვერანაირი სამართლებრივი შედეგი ვერ ექნება. ამასთან, არანაირი სამართლებრივი შედეგის მომცემი არ იქნება ცხინვალში საოკუპაციო რეჟიმის მიერ დაანონსებული ე.წ. რეფერენდუმი რუსეთის ფედერაციასთან მიერთების შესახებ, რომელიც ანექსიისკენ გადადგმულ მორიგ უკანონო ნაბიჯს წარმოადგენს“, - აცხადებენ უწყებაში. სამინისტრო მოუწოდებს რუსეთს, შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და შეცვალოს უკანონო გადაწყვეტილება ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.

* * *

უკრაინაში ომით გამოწვეული ეკონომიკური შოკი განსაკუთრებით არაპროპორციულად საგრძნობია ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, მათ შორის, სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში, - აცხადებს სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი სებასტიან მოლინეუსი. მისი თქმით, საქართველოში მოსალოდნელია პროგნოზირებული 5,5%-იანი ეკონომიკური ზრდის 2.5%-მდე ვარდნა. ის ქვეყანას რამდენიმე მოკლევადიან თუ გრძელვადიან რეკომენდაციას სთავაზობს. მათ შორისაა რეორიენტაცია ახალ ბაზრებზე, ლოგისტიკის და ინფრასტრუქტურის ღირებულების ჯაჭვების გაუმჯობესება და ჰიდროელექტროსადგურების და ალტერნატიული ენერგიის წყაროების მიმართულების გააქტიურება.

მოამზადა
ია შველიძე

# ფსიქოტროპული მედიკამენტების რეცეპტი მხოლოდ ელექტრონული ფორმით გაიცემა



***„დღეიდან, ექიმი ვალდებული იქნება, წამალი მხოლოდ გენერიკული, ანუ საერთაშორისო დასახელებით გამოწეროს და არა რომელიღაც კონკრეტული მწარმოებლის ბრენდის მიხედვით. ეს ნიშნავს, რომ ფარმაცევტი მომხმარებელს, ჩვენს მოქალაქეს, გენერიკული მედიკამენტების ე.წ. პოზიტიური სიიდან, 3 ყველაზე იაფ წამალს შესთავაზებს. ამის შემდეგ, მოქალაქე თავად გადაწყვეტს, რომელი წამალი შეიძინოს“ - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.*** პრემიერი იმედოვნებს, რომ აღნიშნული რეფორმა იქნება წარმატებული და რაც მთავარია, ხალხის კეთილდღეობას წაადგება, მათ ჯიბეზე აისახება. როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, ეს გადაწყვეტილება დაეხმარება უკვე დაწყებულ პროცესს - თურქეთიდან მედიკამენტების შემოტანას, რომლის შედეგად, დაახლოებით 200-მდე ყველაზე მოთხოვნადი მედიკამენტი დღეს 60-70 %-ით ნაკლებ ფასადაა ხელმისაწვდომი.

გარდა ამისა, ფსიქოტროპული და მასთან გათანაბრებული მედიკამენტების რეცეპტი მატერიალური სახით, უკვე აღარ გაიცემა და მისი გამოწერა მხოლოდ ელექტრონული ფორმით მოხდება. პრემიერის შეფასებით, ამ ცვლილებით მნიშვნელოვნად შეიზღუდება ფსიქოტროპული მედიკამენტების არამიზნობრივი მოხმარება, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, ამწვავებს ქვეყანაში ნარკოლოგიურ მდგომარეობას. „ფსიქოტროპული მედიკამენტები დაუშვებელია, ექიმის დანიშნულების გარეშე გაიცემოდეს. ნებისმიერი სამკურნალო საშუალება პაციენტმა უნდა მიიღოს ექიმის რჩევით... თუმცა, მატერიალური ფორმის რეცეპტით პროცესის გაკონტროლება გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. სწორედ ამიტომ, ელექტრონული რეცეპტით მუდმივ რეჟიმში გახდება შესაძლებელი როგორც რეცეპტის გამცემი ფარმაცევტული დაწესებულების, ისე გამომწერი ექიმების გაკონტროლებაც. ესეც ძალიან დაგვეხმარება პროცესის გამჭვირვალობაში, ზოგადად, მონიტორინგში. საბოლოო ჯამში, ჩვენი მიზანი უნდა იყოს ფსიქოტროპული მედიკამენტების ბრუნვის სრული სურათის გაციფრულება, მედიკამენტის ქვეყანაში შემოტანის მომენტიდან პაციენტზე გაცემამდე მთელი ეს ჯაჭვი, პროცესი რომ გამარტივდეს, ამავდროულად, ზედამხედველობა, მონიტორინგი და გამჭვირვალობა რომ გაუადვილდეს სახელმწიფოს, ფარმაცევტული პროდუქციის მიმოქცევის სრულ პროცესზე რომ იყოს კონტროლი შესაძლებელი. ეს საკითხიც დღეიდან მოგვარდება“, - აღნიშნა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილი ქვეყანაში არსებულ ეპიდვითარებასაც გამოეხმაურა. მისი შეფასებით, საკოორდინაციო საბჭომ პროცესი სწორად მართა და კოვიდი, პრაქტიკულად, დამარცხებულია.

„მსოფლიო ბაზარზე 95 დოლარზეა ჩამოსული ნავთობის ფასი, ლარიც გამყარებულია დოლართან მიმართებაში, ამიტომ, ძვირფასო საწვავის იმპორტიორებო, მაქვს მოლოდინი, რომ გაითვალისწინებთ ჩვენი მოსახლეობის, ქვეყნის მდგომარეობას და რაც შეიძლება მალე მოახდენთ საწვავის ფასების კორექტირებას“, - ასე მიმართა საწვავის იმპორტიორებს საქართველოს პრემიერმა.

„ვიცი, არსებობს მოლოდინი, რომ ძალიან მალე საწვავზე ფასებიც შემცირდება საქართველოში და რაც მალე დაიწყება ეს პროცესი, უკეთესი იქნება. ვიცი, რომ დაიწყეს სხვა ჯგუფებმა შედარებით იაფიანი საწვავის შემოტანაც. ჩვენ აქაც უნდა გავხსნათ პროცესი, როგორც მედიკამენტების შემთხვევაში გავაკეთეთ, ყველას უნდა მიეცეს საშუალება, შემოიტანოს ნავთობი და საწვავი, რათა მეტი არჩევანის საშუალება ჰქონდეთ ჩვენს მოქალაქეებს“, - განაცხადა ღარიბაშვილმა. მისი თქმით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ბაზარზე ნავთობის რამდენიმე ათეული იმპორტიორი გაჩნდა. „ეს იმიტომ, რომ არის თავისუფალი კონკურენცია ბაზარზე და სახელმწიფო უხეშად, ზედმეტად არ ერევა ფასების რეგულირებაში და ა.შ. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ სწორ პოლიტიკას ვახორციელებთ, მაგრამ მეორე მხრივ, ყურადღებით დავაკვირდებით ყველა კეთილსინდისიერი იმპორტიორის ქმედებას, მათ ქცევას“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, დღეს ქვეყნისთვის აუცილებელია მშვიდობა, სტაბილურობა და განვითარება. „არავითარი მეორე ფრონტი არ იქნება საქართველოში, ჩვენ ამას არ დავუშვებთ და გავაგრძელებთ ჩვენი მოქალაქეების, ჩვენი სახელმწიფოს დაცვას“, - განაცხადა პრემიერმა.

როგორც ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, ეკონომიკა იზრდება და კოვიდამდელ, 2019 წლის პერიოდთან შედარებით, ტურიზმი დაახლოებით 80-90%-ით არის აღდგენილი.

მან კიდევ ერთხელ მიმართა შრომისუნარიან, სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, უფრო აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივი დასაქმების პროგრამაში, სადაც 20 000-მდე აპლიკაციაა შემოსული, ხოლო საბოლოო მიზანი 200 000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნაა. „ეს შეიძლება წელს ვერ მოესწროს, მაგრამ 2-3 წლის განმავლობაში ამ მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევა შესაძლებელია. წელს დიდი სურვილი გვაქვს, 50 000 ადამიანი დავასაქმოთ. ახლა ვიწყებთ მშენებლობების მასშტაბურ პროექტებს. შეიქმნება მეტი სამუშაო ადგილი, მეტი მოთხოვნა გაჩნდება. კიდევ ერთხელ მინდა მივმართო ჩვენს მოქალაქეებს, რომ მაქსიმალურად მოკლე დროში ჩაერთონ ამ პროგრამაში“, - განაცხადა პრემიერმა.

## თავგანწირვის, თავისუფლებისა და ერთიანობის დღე 2

## «უკრაინელი ერის ასეთმა ბრძოლამ მსოფლიოს მაგალითი აჩვენა და აღაფრთოვანა» 3

## გიორგი მასალკინი: ოთხიოდე წლის წინ ირმა ინაშვილს და მის გუნდს შავრაზმელები ვუწოდე, რის გამოც სასამართლოში მიჩივლა 4

## «ყველაზე მეტად ის მაღელვებს, რომ ქართული სოფლები ცარიელდება» 6

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# თავგანწირვის, თავისუფლებისა და ერთიანობის დღე

1989 წლის 9 აპრილიდან 33 წელი გავიდა. ამ დღეს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას 21 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ათასობით ადამიანი მოიწამლა. მშვიდობიანი მომიტინგეები საბჭოთა კავშირიდან გამოსვლასა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ითხოვდნენ. ქართველმა ხალხმა 9 აპრილი ეროვნულ დღესასწაულად და ეროვნული ერთიანობის დღედ გამოაცხადა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, ბათუმში ქვეყნის თავისუფლებისათვის დაღუპულები გაიხსენეს.

აჭარის უმაღლესი საბჭოსა და აჭარის მთავრობის წევრებმა, საზოგადოების, სტუდენტი-ახალგაზრდობისა და ჩოხოსანთა აჭარის სადროშოს წარმომადგენლებმა გმირთა ხეივანში ყვავილებით შეამკეს 9 აპრილის მემორიალი და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გმირულად დაღუპულთა ხსოვნას.



- 9 აპრილი საქართველოს უახლეს ისტორიაში ჩაიწერა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღე და დარჩება, როგორც გმირობის უდიდესი მაგალითი, თავგანწირვის სიმბოლო. ზუსტად 33 წლის წინ სრულიად საქართველო გაერთიანდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ დღეს უკეთესი ქვეყანა გვქონოდა. პატივს მივაგებ იმ ადამიანების ხსოვნას, ვინც საკუთარი სიცოცხლე შესწირა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას. დიდება გმირებს. მადლობა თავისუფლებისთვის! -აღნიშნა ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულებს პატივი მიაგეს ბათუმში სტუმრად მყოფმა პოლონეთის საელჩოს პირველმა მდივანმა აგნეშკა გორალსკიმ და ელჩის მრჩეველმა რაფალ ვენგელმა.

ელენე საყვარელიძე

# თხილის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმო – ქედაში

***მალე ქედაში, სოფელ ძენწმანში, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი თხილის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმო ამოქმედდება...*** შენობა შესაბამისი ტექნიკით უკვე აღიჭურვა, საწარმო ნედლეულს ადგილობრივი ფერმერებისგან მიიღებს და გადაამუშავებს. წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია, გარდა ადგილობრივი ბაზრისა, ევროპის ქვეყნებშიც მოხდება. აქ 15 ადამიანი დასაქმდება. საწარმო სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგრანტო პროგრამის ფარგლებში 69 788 ლარით დაფინანსდა, ხოლო ბენეფიციარის თანადაფინანსება 30 000 ლარია.



საწარმოს სამუშაო პროცესს აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი გიორგი სურმანიძე, მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძე, მინისტრის მოადგილე მირიან ქათამაძე და „აგროსერვისცენტრის" დირექტორი გოჩა ბერიძე გაეცნენ.

- აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი" უკვე მესამე წელია ახორციელებს ერთიან აგროპროექტს, რომელიც გათვლილია გრძელვადიან განვითარებაზე. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის დარგში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას. 2020 წლიდან სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საწარმოების შექმნის მიზნით, სხვადასხვა პროექტს ახორციელებს. ამ ეტაპზე, პროექტის ფარგლებში უკვე დაფინანსდა 34 საწარმო. გასულ წლებთან შედარებით, გაორმაგებულია სოფლად მეწარმეობის განვითარების ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა და იგი 24 ერთეულით განისაზღვრა, - განაცხადა გიორგი სურმანიძემ.

- სოფლად მეწარმეობის განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. თითოეული ასეთი საწარმოს გამართულ მუშაობას არა მხოლოდ კონკრეტული სოფლისთვის, არამედ რეგიონისა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს, - აღნიშნა ხულოს, შუახევის, ქედისა და ხელვაჩაურის მაჟორიტარმა დეპუტატმა აჭარის უმაღლეს საბჭოში ფრიდონ ფუტკარაძემ.

ანკა ჩხიკვაძე

# ოთხი ახალი საბავშვო ბაღი – ბათუმში

ბაგრატიონის ქუჩაზე ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იქნება და იგი 300-მდე ბავშვზეა გათვლილი. გარდა შიდა ინფრასტრუქტურისა, კეთილმოეწყობა ეზო და დამონტაჟდება საბავშვო ატრაქციონები.

ამ ეტაპისთვის, შენობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. ბაღის მშენებლობა მიმდინარე წლის ოქტომბერში უნდა დასრულდეს. პროექტის ღირებულება 2 მილიონ 574 ათას ლარს შეადგენს.



გუშინ სამუშაოები ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა დაათვალიერა. როგორც მან აღნიშნა, კიდევ ორი ახალი ბაღი შენდება ქათამაძისა და მეზღვაურთა ქუჩებზე. საბავშვო ბაღების მშენებლობა, პირველ რიგში, იმ უბნებში დაიგეგმა, სადაც მოთხოვნა განსაკუთრებით დიდი იყო.

მნიშვნელოვანია, რომ წელს სულ ოთხი ახალი ბაღი შევა ექსპლუატაციაში.

ანკა ჩხიკვაძე

# საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობა 8 929-ით გაიზარდა

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

საქართველოში საარსებო შემწეობას 652 096 ადამიანი იღებს, რაც ქვეყნის მოსახლეობის 17,5%-ს შეადგენს. სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით, სახელმწიფოსგან ფულადი დახმარების მიმღებ პირთა რაოდენობა მხოლოდ ბოლო სამ თვეში 8 929 ადამიანით გაიზარდა.

2021 წლის დეკემბერში საარსებო შემწეობა 174 379-მა ოჯახმა - 643 167-მა ადამიანმა მიიღო, მიმდინარე წლის იანვარში, თებერვალსა და მარტში კი ეს რაოდენობა გაიზარდა. კერძოდ, იანვარში საარსებო შემწეობა 648 176-მა ადამიანმა მიიღო, თებერვალში - 650 584-მა, მარტში კი სახელმწიფოსგან დახმარება 176 837 ოჯახს - 652 096 პირს ჩაერიცხა. საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის გადარიცხულმა თანხამ იანვარში 44 308 911 ლარი, თებერვალში 44 331 988 ლარი, ხოლო მარტში 44 413 040 ლარი შეადგინა.

მარტში დახმარების მიმღებ ადამიანთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით ასე გადანაწილდა: თბილისი - 132 979 ადამიანი, იმერეთში - 84 253, ქვემო ქართლში - 80 089, სამეგრელო-ზემო სვანეთში - 76 597, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში - 71 893, კახეთში - 66 570, შიდა ქართლში - 58 714, გურიაში - 27 922, სამცხე-ჯავახეთში - 19 635, მცხეთამთიანეთში - 18 815, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში - 14 629.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით, 2020 წლის დეკემბერში სოციალური დახმარება 146 619-მა ოჯახმა - 524 598-მა ადამიანმა მიიღო; 2019 წლის დეკემბერში - 119 582 ოჯახმა - 427 373-მა ადამიანმა, 2018 წლის დეკემბერში კი 127 819 ოჯახმა - 435 450 ადამიანმა.

## უკრაინა

***ხარკოვის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ოლეგ სინეგუბოვის ცნობით, გასულ 24 საათში რუსეთის ჯარებმა ხარკოვის ოლქზე 66-მდე საარტილერიო თავდასხმა განახორციელეს, რის შედეგადაც დაიღუპნენ და დაშავდნენ მშვიდობიანი მოქალაქეები***.

მისივე ცნობით, დაიღუპა 11 მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის, ერთი 7 წლის ბავშვი. რუსეთის საომარი ქმედებების შედეგად დაიჭრა 14 მშვიდობიანი მოსახლე.

სინეგუბოვი ასევე აცხადებს, რომ ხარკოვში სხვადასხვა ადგილას პოულობენ ნელი მოქმედების, დაახლოებით 1,5 კგ წონის ნაღმებს.

* * *

„2035 წლამდე რამდენიმე სამხედრო შეტაკება გარანტირებულია", - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩეველმა ალექსი არესტოვიჩმა განაცხადა. მან ვითარება ისრაელსა და პალესტინას შორის არსებულ სიტუაციას შეადარა. „5 ომი ჩაატარეს იქამდე, სანამ მიხვდნენ, რომ ეს მეთოდები არ მუშაობს და სხვა მეთოდებზე გადასვლაა საჭირო. ასე იქნება ჩვენთანაც. არ ვიცი, დაგვჭირდება თუ არა 5 ომი, მაგრამ 2035 წლამდე რამდენიმე სამხედრო შეტაკება გარანტირებულია. ეს ნიშნავს ერთ შეტაკებას ყოველ 2 ან შესაძლოა 5 წელში ერთხელ და დიდი შეტაკებები 7-8 წელში ერთხელ", - განაცხადა არესტოვიჩმა.

* * *

„ზელენსკი ამბობს, რომ მარიუპოლში ათობით ათასი ადამიანი დაიღუპა.

ათობით ათასი!

ის აღნიშნავს, რომ რუსებს სურთ მარიუპოლი „საჩვენებლად განადგურებულ ქალაქად" აქციონ.

როგორც UNIAN-ის კორესპონდენტი იუწყება, ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა სამხრეთ კორეის პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომელიც ტელემარათონის დროს გადაიცემოდა.

„ყველაზე უარესი ვითარებაა მარიუპოლში... მარიუპოლი განადგურებულია. ათი ათასობით დაღუპულია, მაგრამ ამის მიუხედავად, რუსები არ წყვეტენ შეტევით ოპერაციას. მათ სურთ მარიუპოლი აქციონ საჩვენებლად განადგურებულ ქალაქად", - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანება უახლოეს წლებში მოხდება და ეს ამბავი ათწლეულები ნამდვილად არ გაგრძელდება. ამის შესახებ, ვოლოდიმირ ზელენსკის დიპლომატიურმა მრჩეველმა ევროპასთან ინტეგრაციის საკითხებში, პრეზიდენტის აპარატის უფროსის მოადგილე იგორ ჟოვკვამ განაცხადა.

მან აღიარა, რომ ევროკავშირის ყველა ქვეყანა არ არის მზად ამ გადაწყვეტილების მისაღებად, მაგრამ მოლაპარაკებები შედეგს იძლევა.

„სამწუხაროდ, ყველა ქვეყანა ერთნაირად არ ფიქრობს, მაგრამ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირის არც ერთი ქვეყანა არ არის ამის წინააღმდეგი და თითოეულ ქვეყანას აქვს დადებითი ტენდენცია უკრაინის შესვლის მიმართ", - განმარტა მან.

* * *

პუტინის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა skynews-სთან საუბარში თქვა, რომ ბუჩას ქუჩებში მიმოფანტული ცხედრები რუსი სამხედროების მოკლული ხალხი არაა.

წამყვანმა საპასუხოდ აჩვენა, თუ როგორ ესროდა რუსული ჯავშანმანქანის ეკიპაჟი ველოსიპედზე მჯდომ ქალს. პესკოვი შეეცადა გაპროტესტებას და ჰკითხა: ეს ტანკი თუ ჯავშანმანქანა რუსულია? წამყვანმა მას გადიდებული ჩარჩო აჩვენა, სადაც ჯავშანმანქანაზე ოკუპანტების სიმბოლო - ასო Z ჩანს.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

# „უკრაინელი ერის ასეთმა ბრძოლამ მსოფლიოს მაგალითი აჩვენა და აღაფრთოვანა“

**ლაშა ხომერიკი 593 50 82 69**



*რუსეთის უკრაინისადმი აგრესია მსოფლიოში გულგრილს არავის ტოვებს. ცივილიზებული სამყარო გმობს კრემლის დესტრუქციულ ქმედებებს ამ ქვეყნის მიმართ და, ამავე დროს, შეძლებისდაგვარად ეხმარება სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაში. მიზეზი არა მარტო სამართლიანობის განცდაა, არამედ გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფაქტორები, სხვაგვარად რომ ვთქვათ, უკრაინაზე დიდად არის დამოკიდებული ევროპის და, მით უმეტეს, პოსტსაბჭოთა ქვეყნების მომავალი. ისმის კითხვა - მიმდინარეობს თუ არა მსოფლიო წესრიგისთვის ბრძოლა, რა ცხადყო ამ ომმა და რამდენად თანმიმდევრულია დასავლეთი რუსეთთან მიმართებით? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მრჩეველი დიპლომატიურ საკითხებში, ახალგაზრდა ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი (ლინგვისტიკა-დიპლომატიურ დისკურსში)* ***ლაშა ბოლქვაძე,*** *რომელიც ამავე უნივერსიტეტში მოწვეულია იაპონური ენის ლექტორად.*

**- ახალი მსოფლიო წესრიგი დღესდღეისობით ყველაზე აქტუალური ტერმინია. ამდენად, საინტერესოა, მიმდინარეობს თუ არა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება? ამ მიმართებით რუსეთის აგრესია რა დასკვნის საფუძველს იძლევა?**

- მსოფლიო წესრიგის ერთი პოლუსიდან მეორეზე გადასვლის ერთ-ერთი შუამავალი ომია. ამის ნათელი მაგალითია რუსეთის მოქმედება უკრაინაში. ყოველი ომის შემდგომ, სხვადასხვა ვითარების საფუძველზე, ხდება გლობალური წესრიგის დამყარება, კერძოდ კი, მთავარი ბირთვის ეკონომიკური სისტემის და ნორმების საფუძველზე. ეს იწვევს განახლებას გლობალური მასშტაბით, დაწყებული ყოველდღიური ცხოვრების წესით - სოციალიზაციის პროცესამდე. რა თქმა უნდა, ისეთი კომპლექსური მოვლენა, როგორიც გლობალური მსოფლო წესრიგია, ცალსახად დადებითი ან უარყოფითი ვერ იქნება ყველა ქვეყნისა თუ ადამიანისათვის. ეს წესრიგი იძლევა შესაძლებლობებს იმისათვის, რომ კონკრეტული სახელმწიფოები ან ადამიანები იყენებდნენ მას სარგებლისთვის ან მავნებლურად.

**- ამჟამად დასავლეთის და რუსეთის დაპირისპირების არეალი უკრაინაა. რა მიზანი ამოძრავებთ მათ?**

- რუსეთის მიზანია საკუთარი ძალების დემონსტრირება და გავლენების შენარჩუნება, ხოლო დასავლეთი ეცდება, მაქსიმალურად შეზღუდოს და შეასუსტოს რუსეთის რესურსები.

**- თვეზე მეტია, რაც უკრაინაში ომი მიმდინარეობს. რა ცხადყო ამ ომმა, ელოდით თუ არა უკრაინული ჯარის ასეთ ბრძოლისუნარიანობას და დასავლეთის თანადგომა უკრაინასადმი რამდენად მნიშვნელოვანია რუსული აგრესიის შესაჩერებლად?**

- პროცესებმა ცხადყო, რომ აღნიშნულმა გეოპოლიტიკურმა საკითხმა უკვე გლობალურ მასშტაბებს მიაღწია. არა მარტო უკრაინული ჯარის, არამედ მთელი უკრაინელი ერის ასეთმა ბრძოლამ მსოფლიოს მაგალითი აჩვენა და აღაფრთოვანა. შედეგად, მეტი სიმპათია, პატივისცემა, მხარდაჭერის სურვილი გაუჩინა მსოფლიოს. ყველა ქვეყანა, თავისებურად, მაქსიმუმს აკეთებს რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად. ამ მიზნით, დასავლეთმა აუცილებლად უნდა გაზარდოს საჭირო ბერკეტები, პოლიტიკური ზემოქმედების საშუალებები, ასევე გააფართოოს ეკონომიკური სანქციები.

**- როგორც ცნობილია, უკრაინა თითქმის ყველა ფრონტზე უტევს რუსეთს, მაგალითად, პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებთან ერთად, რუსეთის წინააღმდეგ ჰააგაში სარჩელი შეიტანა. ბუჩას ტრაგედიამ მსოფლიო შეძრა...**

- მწუხარებას და დიდ გულისტკივილს გამოვხატავთ ბუჩაში მომხდარი ტრაგედიის გამო. შეუძლებელია, ნანახმა ვიდეომ, ფოტოებმა ადამიანი სრულად არ შეძრას. ბუჩას ტრაგედია შეიცავს გენოციდის აშკარა ნიშნებს, რასაც საერთაშორისო მასშტაბით აუცილებლად უნდა მოჰყვეს უმკაცრესი რეაგირება.

**- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა კარიმ ხანმა, 2008 წლის ომის საქმის ფარგლებში, 10 მარტს ოკუპირებული ცხინვალის სამი ყოფილი მაღალჩინოსნის დაკავების ორდერი გასცა. როგორ აფასებთ ამას?**

- ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უმნიშვნელოვანესი წინსვლა, გამარჯვებაა. სამწუხაროდ, დიდი დრო დასჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღებას, თუმცა სჯობს გვიან, ვიდრე - არასდროს. დანაშაულის ჩამდენები აუცილებლად უნდა დაისაჯონ. ძალიან მნიშვნელოვანია ეს საქართველოსათვის. ვულოცავ ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას.

**- რაკიღა 2008 წლის ომი გავიხსენეთ, მინდა გკითხოთ: მაშინ დასავლეთი და ნატო უფრო პრინციპული რომ ყოფილიყო რუსეთის მიმართ, უკრაინის ტრაგედიის მომსწრე ვიქნებოდით?**

- 2008 წლის ომი არ აღმოჩნდა სერიოზულად აღქმული, გაანალიზებული სამომავლო საფრთხის და რისკების თვალსაზრისით, რაც ნათლად ჩანს ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგის ახლახან გაჟღერებულ განცხადებაში: „ვფიქრობ, ერთ-ერთი გაკვეთილი, რომელიც რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ ვისწავლეთ, არის ის, რომ ყველამ, ვისაც სჯერა დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის, უნდა უზრუნველყოს მხარდაჭერა ისეთი ახლო და ღირებული პარტნიორების, როგორიც საქართველოა. უმჯობესია, მათ ადრევე დავეხმაროთ, ვიდრე გვიან“. განცხადებაში იგრძნობა სინანული და ამით მათ მიერ დაშვებული შეცდომები, რომლებიც აისახა ჯერ საქართველოზე, შემდეგ კი უკრაინაზე. ვფიქრობ, ეს განცხადება დაგვიანებულიც კი არის, თუმცა იმედს ვიტოვებ, რომ სამომავლო უსაფრთხოების დისკურსში იქნება სასარგებლო და პროგრესირებადი, რაც ჩვენს ქვეყნებს მოუტანს მშვიდობას, გაამყარებს თავდაცვის იდეას და პროცესს.

**- ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ბიბილოვმა დააანონსა, რომ უახლოეს მომავალში ჩატარდება რეფერენდუმი „სამხრეთ ოსეთის“ რუსეთთან შეერთების თაობაზე...**

- ყველას კარგად მოეხსენება, რომ საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია და რეფერენდუმებზე საუბარი ზედმეტია. მათ კარგად იციან, რომ არაღიარებული სამხრეთ ოსეთის რეგიონი საქართველოს შემადგენელი ნაწილია და არ აქვთ უფლება, ასეთი შეუსაბამო გადაწყვეტილებები მიიღონ, რასაც ამყარებს საერთაშორისო საზოგადოების ურყევი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი. მათგან ყველაფერია მოსალოდნელი, ეცდებიან საქართველო დაყონ, თუმცა მსოფლიო ამას არ აღიარებს. კარგად აქვთ გააზრებული და იციან, თუ რა ფაქტორების წინაშე აღმოჩნდებიან და ვიმედოვნებ, ამ ნაბიჯს არ გადადგამენ.

**- კვლავ უკრაინას დავუბრუნდეთ. დაწესებული სანქციები რუსეთის მიმართ მართლაც მრავლისმთქმელია, თუმცა, ჯერჯერობით, კრემლი უკან არ იხევს. ამ მხრივ დასავლეთს თადარიგში რა ბერკეტები რჩება?**

- დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციები გრძელვადიან პერსპექტივაში რუსეთის ეკონომიკისთვის რთული პროცესების მომტანია, რაც დღეის მდგომარეობითაც ნათლად ჩანს. აღნიშნული სანქციები ჯერჯერობით ვერ აჩერებს საომარ მოქმედებებს უკრაინაში. რთული სათქმელია, შეცვლის თუ არა კრემლი პოლიტიკას დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე. სანქციების სრულად ამოქმედების შემთხვევაში, რუსეთს გაუჭირდება საერთაშორისო მასშტაბით ალტერნატიული გზების მონახვა, შესაბამისად, ადრე თუ გვიან, მოუწევს დათმობებზე წასვლა.

**- ოპოზიცია ხელისუფლებას უკრაინის არასათანადო მხარდაჭერაში ადანაშაულებს, მმართველი პარტია კი ოპოზიციის დესტრუქციულობაზე საუბრობს...**

- მსგავსად შექსპირის გამონათქვამისა: „არაფერია იმაზე გავრცელებული, როგორც სურვილი, რომ გამორჩეული იყო“.

**- მსოფლიო მოვლენების ფონზე, როგორ გესახებათ აშშ-რუსეთის სამომავლო ურთიერთობები, მით უფრო, რომ ბაიდენმა პუტინს მკვლელი უწოდა.**

- დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთსა და აშშ-ს შორის ჩიხშია შესული. რთულად პროგნოზირებადია, რა პროცესები წარიმართება მომავალში, თუმცა მჯერა, რომ გამოინახება რესურსები მშვიდობის დამყარებისა და საერთაშორისო სტაბილურობისათვის.

*„საქართველო მძიმე განსაცდელში იმყოფება, ვინაიდან ქვეყნის გარეთ და განსაკუთრებით შიგნით ძალიან ბევრი მტერი ჰყავს, რაც ზეგავლენას ახდენს მის საგარეო და საშინაო პოლიტიკურ, დიპლომატიურ, ეკონომიკურ ურთიერთობებზე, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, სიფრთხილით, გარე და შიდა ფაქტორებზე მეტი დაკვირვებით, სწორი დიპლომატიური სვლებით გაგრძელდეს საერთაშორისო ურთიერთობები*

**- ნატოს ყოფილმა სარდალმა ამას წინათ განაცხადა, რომ უკრაინის და საქართველოს შეიარაღებული ძალები აკმაყოფილებენ აღნიშნული ალიანსის სტანდარტებს. ბოლოს და ბოლოს, როდის გაიღება ჩვენთვის ნატოს კარი?**

- ჩვენ ნატოს წევრობას არ უნდა ველოდოთ უახლოეს წლებში და ამის დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს. არ უნდა შევიქმნათ ილუზია და მოვიტყუოთ თავი, ვინაიდან ამ პროცესს მოსდევს ძალიან დიდი და რთული გზა, რომელიც გასავლელი აქვს ჩვენს ქვეყანას. ვართ გზაში და ამ გზას წარმატებით მივყვებით. საქართველოს მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი არის ნაყოფიერი, რაც მნიშვნელოვანია, რომ ფინიშამდე დროულად, უპრობლემოდ, წინააღმდეგობის გარეშე და მშვიდობიანად მივიდეთ. ჩვენი ალიანსში ხილვა გარდაუვალია და ეს აუცილებლად მოხდება. ნატოს რიგის მინისტერიალზე საქართველოსა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრების მიწვევა და მათთან ერთად ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომის ფარგლებში უსაფრთხოების მთავარ გამოწვევებზე საუბარი მიანიშნებს, რომ ალიანსისათვის ორივე სახელმწიფო ღირებული პარტნიორია.

**- დღევანდელ უკრაინასა და, ზოგადად, მსოფლიოში არსებული რთული ვითარებიდან გამომდინარე, როგორია საქართველოს მომავალი?**

- საქართველო მძიმე განსაცდელში იმყოფება, ვინაიდან ქვეყნის გარეთ და განსაკუთრებით შიგნით ძალიან ბევრი მტერი ჰყავს, რაც ზეგავლენას ახდენს მის საგარეო და საშინაო პოლიტიკურ, დიპლომატიურ, ეკონომიკურ ურთიერთობებზე, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, სიფრთხილით, გარე და შიდა ფაქტორებზე მეტი დაკვირვებით, სწორი დიპლომატიური სვლებით გაგრძელდეს საერთაშორისო ურთიერთობები.

## „პირდაპირი, ღია და ხისტი“ მოლაპარაკებები – პუტინთან

ავსტრიის კანცლერმა კარლ ნეჰამერმა გუშინ განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან „პირდაპირი, ღია და ხისტი“ მოლაპარაკებები ჰქონდა. ამის შესახებ ინფორმაციას „როიტერსი“ ავრცელებს.

„ეს არ არის მეგობრული შეხვედრა. ნეჰამერმა თქვა, რომ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი გზავნილი კრემლის ლიდერისთვის არის ის, რომ ომი უნდა დასრულდეს, რადგან „ომში ორივე მხარე მხოლოდ დამარცხებულია“, - აღნიშნულია ავსტრიული მხარის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ავსტრიის კანცლერის პრესსპიკერ ეტიენ ბერხტოლდის თქმით, შეხვედრა, რომელიც დაახლოებით 90 წუთს გაგრძელდა, პუტინის ოფიციალურ ნოვო-ოგარიოვოს რეზიდენციაში გაიმართა.

*ცნობისთვის: ნეჰამერი ევროკავშირის პირველი ლიდერია, რომელიც პუტინს მას შემდეგ შეხვდა, რაც მან საკუთარ ჯარებს 24 თებერვალს უკრაინაში შეჭრა უბრძანა.*

**ამირან ბურჭულაძე**

## უცხოეთი

უკრაინაში რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის გამო მსოფლიოს 42-მა ქვეყანამ ჰააგის სასამართლოს მიმართა. მიზეზი პუტინის ჯარისკაცების სამხედრო დანაშაულებია, - ამის შესახებ უკრაინის იუსტიციის მინისტრმა დენის მალიუსკამ განაცხადა. ინფორმაციას გამოცემა „უნიანი“ ავრცელებს. „სამხედრო დანაშაულების საერთაშორისო დონეზე გამოძიება დაწყებულია. ამ ქვეყნების მიმართვამ პროცედურა დააჩქარა და გაამარტივა“, - აღნიშნა მინისტრმა. მალიუსკას თქმით, ამჟამად ექსპერტები მთელ ქვეყანაში აგროვებენ რუსი ოკუპანტების მიერ ქალაქ ბუჩაში ჩადენილი დანაშაულების მტკიცებულებებს, რომლებიც აურაცხელი რაოდენობისაა და შესაბამისად, ახლავს სირთულეებიც. „პრობლემა დიდია, მაგრამ სამხედრო დანაშაულების გამოძიება პრიორიტეტია. საერთაშორისო თანამეგობრობა მხარს გვიჭერს, ამ კვირაში ჩამოვლენ ფრანგი ექსპერტები. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან“, - განაცხადა მალიუსკამ.

* * *

საფრანგეთში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართება, რომელშიც ერთმანეთს მოქმედი პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი და მემარჯვენე მარინ ლეპენი დაუპირისპირდებიან. პირველ ტურში ერთმანეთს 12 კანდიდატი დაუპირისპირდა. წინასწარი შედეგებით, მაკრონმა ამომრჩეველთა ხმების 28,6% მოიპოვა, მეორე ადგილზე კი ხმების 24,4%-ით მარინ ლეპენია. „მთელი სერიოზულობით მოგიწოდებთ, ხმა მისცეთ მემარჯვენე მარინ ლეპენის წინააღმდეგ, ემანუელ მაკრონის ბიულეტენის გამოყენებით“, - განაცხადა მოქმედმა პრეზიდენტმა. არჩევნების მეორე ტური 24 აპრილს ჩაინიშნა.

* * *

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი უკრაინაში ჩავიდა. იგი პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის შეხვდა. ჯონსონმა კიევის ქუჩებში ფეხით გაისეირნა. როგორც ცნობილია, ბრიტანეთის პრემიერი უკრაინაში პოლონეთიდან მატარებლით ჩავიდა. „უკრაინელებს ლომის სიმამაცე აქვთ, პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ კი ამ ლომის ღრიალი აჩვენა. დიდი ბრიტანეთი ურყევად დგას უკრაინელი ხალხის გვერდით“, - დაწერა ჯონსონმა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე. როგორც ცნობილია, სანქციების პარალელურად, გაერთიანებული სამეფო მზადაა უკრაინასთან ლიბერალური სავაჭრო ურთიერთობისთვის, რათა დაეხმაროს ქვეყნის ეკონომიკას, ამასთან, პარტნიორებთან ერთად, მიაწოდოს აღჭურვილობა, ტექნოლოგიები და სადაზვერვო ინფორმაცია.

* * *

ევროკომისია რუსეთის ნავთობზე ემბარგოს დაწესების დეტალებზე მუშაობს, - ამის შესახებ ირლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრმა საიმონ კოვენმა განაცხადა. მისი თქმით, ემბარგოს საკითხი განიხილება როგორც სანქციების შემდგომი პაკეტის ნაწილი, თუმცა, ჯერჯერობით, რაიმე გადაწყვეტილება მიღებული არ არის. როგორც ცნობილია, ამ ეტაპზე, ევროკავშირის ქვეყნების მიერ გაყინული აქტივების რაოდენობა 29,5 მლრდ ევროს შეადგენს, ასევე დაბლოკილია 196 მილიარდი ევროს ტრანზაქციები.

**მოამზადა ია შველიძე**

# გიორგი მასალკინი: ოთხიოდე წლის წინ ირმა ინაშვილს და მის გუნდს შავრაზმელები ვუწოდე, რის გამოც სასამართლოში მიჩივლა

**ხატია იაშვილი 591 98 24 26**



*უკრაინა-რუსეთის ომზე, შიმშილით დახოცილ 6 მილიონამდე უკრაინელზე, ბათუმის შუალედურ არჩევნებსა და მოსკოვში ჩასულ „პატრიოტთა ალიანსზე“ გვესაუბრება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოსოფოსი* ***გიორგი მასალკინი.***

**- ბატონო გიორგი, უკრაინაში მიმდინარე ომს დასასრული არ უჩანს...**

- ორიოდე დღის წინ უნივერსიტეტის კინოკლუბში ვნახეთ ფილმი „დონბასი“, რომელიც 2018 წელს გადაიღო კინორეჟისორმა სერგეი ლოზნიცამ. ფილმი უკრაინის ოკუპირებული ოლქის ყოფას ასახავს, რომლის შემხედვარე რწმუნდები, რომ ომი, სამწუხაროდ, შეიძლება წლების განმავლობაში გაიწელოს, ხოლო ნორმალური ცხოვრების აღდგენას ათწლეულებიც კი დასჭირდება.

**- მოსკოვი აცხადებს, რომ 9 მაისს აღნიშნავს უკრაინაზე გამარჯვებას.**

- ისეთ სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც სიტუაცია დინამიკურად იცვლება. არც ისაა გამორიცხული, რუსეთი „დაკმაყოფილდეს“ ყირიმით, ლუგანსკისა და დონეცკის ოლქებით, ოღონდ მათ ოფიციალურ ადმინისტრაციულ საზღვრებში, რაც რუსეთის მიერ ამჟამად დაკავებულზე გაცილებით დიდი ტერიტორიაა. რუსეთი უკრაინაშიც აპირებს ბორდერიზაციას, რომელსაც საქართველოში - ცხინვალის რეგიონში ახორციელებს (მოსკოვი საბჭოთა კავშირის დროინდელ რუკებს ეყრდნობა). თუ რუსეთში რეჟიმი არ შეიცვალა, რაც მხოლოდ პუტინის უეცარ გარდაცვალებას ან ლიკვიდაციას დაუკავშირდება (რუსეთში რევოლუცია არც განიხილება), საბოლოოდ მივიღებთ კიდევ ერთ დიდ გაყინულ კონფლიქტს.

> ***,, - დასავლეთი ყველაფერს იღონებს, რომ უკრაინა ძლიერ და წარმატებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს. „მარშალის გეგმა“ განმეორდება, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უმოკლეს დროში აღადგინა გერმანიის და, ზოგადად, ევროპის მიწასთან გასწორებული ეკონომიკა***

**- რუსეთი აცხადებს, რომ ეგრეთ წოდებული ხერსონის სახალხო რესპუბლიკის შექმნას აპირებს.**

- კი, „ნოვოროსიას“ პროექტი. აქვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ამ ომში კრემლი უკვე დამარცხდა სტრატეგიულად, რადგან მსოფლიო ისწავლის ცხოვრებას რუსეთის გარეშე, საერთაშორისო ეკონომიკა გადაფორმატდება. პუტინმა საბოლოოდ დაიმსახურა „ცუდი ბიჭის“ სახელი, რომელიც ნდობას არ იმსახურებს, რადგან არ იცავს თამაშის წესებს. ამ ფონზე რას იზამს ბრაზილია, ირანი, ინდოეთი, ჩინეთი, რომლებიც რუსეთის მიმართ ლოიალურობით გამოირჩევიან, ჯერ არ ვიცით. პრინციპში, ამათ ხელს აძლევთ, არ დამარცხდეს რუსეთი, რადგან მაშინ ერთი-ერთზე დარჩებიან კოლექტიური დასავლეთის წინაშე. ეს ქვეყნები ყოველთვის ლავირებდნენ, სანამ ერთმანეთს ეჯახებოდნენ „ვეფხვები“ მსოფლიო გადანაწილებისთვის. მიმდინარეობს აქამდე არნახული, მრავალსვლიანი გეოპოლიტიკური თამაში, რომელსაც აქვს შანსი, დასრულდეს ძალიან კარგად - რუსეთის ტოტალური მარცხით და რეჟიმის ცვლილებით; საშუალოდ - კონფლიქტის გაყინვით (რუსეთი შესუსტდება, მაგრამ არ დაეცემა) და ძალიან ცუდად - თუ რუსეთმა წითელი ხაზები გადალახა და „წითელ ღილაკს“ დააჭირა.

**- როგორც „ობივატელს“, მაინტერესებს სად უნდა წავიდეს მოსახლეობა, თუ ომი წლების განმავლობაში არ დასრულდება?**

- ეს არის ძალიან დიდი ჰუმანიტარული კატასტროფა. ბევრს მოუწევს არჩევანის გაკეთება: დარჩნენ რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებში ან გადმოვიდნენ უკრაინის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. მილიონობით უკრაინელი უკვე გასულია ქვეყნიდან, მათი ნაწილი დაბრუნდება, დიდი ნაწილი - არა. მათი ცხოვრება, ბუნებრივია, რადიკალურად შეიცვლება. არც ის დაგავიწყდეთ, რომ ამ ომმა ხელი შეუწყო უკრაინის მოსახლეობის საბოლოოდ კონსოლიდირებას - შედუღდა ერი, მსოფლიოს აჩვენა გასაოცარი, თავგანწირული ორგანიზების და ბრძოლის უნარი. ვინც იცის ამ ქვეყნის ისტორია, ისიც იცის, რომ უკრაინელები გამოირჩეოდნენ პატრიოტული სულისკვეთებით და დაუმორჩილებლობით. გაიხსენეთ 16-17 საუკუნე, ტარას ბულბა, „ზაპოროჟიის სეჩი“, ეს იყო თავისუფალი კაზაკების რესპუბლიკა, საკუთარი არმიით და კონსტიტუციით, თვითმმართველობით და არჩევითობის წესებით. უკრაინელებს ეს სისხლში აქვთ, გენეტიკური მახსოვრობა აქვთ ძლიერი. უკრაინის სხვადასხვა ტერიტორია სხვადასხვა დროს ეკუთვნოდა ხან ავსტრია-უნგრეთს, ხან კათოლიკურ პოლონეთს, ამიტომ ეს ხალხი მკვეთრად განსხვავდება რუსეთისგან. ომის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისიც იყო, რომ რუსეთმა შინაგანად, ინტუიციურად, ცხოველური ინსტიქტის დონეზე იგრძნო, რომ უკრაინას გაუჩნდა პერსპექტივა, გახდეს რუსეთზე გაცილებით წარმატებული.

**- სამწუხაროდ, არც დასავლეთი ღებულობს უკრაინას, აქაც ბარიერებია.**

- დასავლეთი ყველაფერს იღონებს, რომ უკრაინა ძლიერ და წარმატებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს. „მარშალის გეგმა“ განმეორდება, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უმოკლეს დროში აღადგინა გერმანიის და, ზოგადად, ევროპის მიწასთან გასწორებული ეკონომიკა.

**- რაღა დარჩება უკრაინას, თუკი რუსეთი ნახევარ ტერიტორიას მიიტაცებს?**

- უკრაინელ პოლიტოლოგებში მყავს მეგობრები და მათი „კულუარული“ ინფორმაციით, უკრაინა შეიძლება დათანხმდეს რუსეთს 2015 წლამდე არსებულ პოზიციებზე დახევას, ისიც, რაღაც ვადით, შემდეგ კი უნდა მოეწყოს რეფერენდუმი, წესისა და რიგის მიხედვით, ჯარების გარეშე და საერთაშორისო დამკვირვებლების კონტროლის პირობებში.

**- დონეცკის და ლუგანსკის მოსახლეობა ზეიმობდა რუსეთის ჯარის შესვლასო, ხომ გადმოსცემდნენ?**

- არავინ იცის ზუსტად, ვის რა სურს სინამდვილეში. მყავს იქ რუსი მეგობრებიც, რომლებიც უკრაინის მხარეს იჭერენ, უკრაინელობენ. ასეთები ათასობით არიან. მათ სურთ ევროპა, ცხოვრების უკრაინული წესი და არა რუსეთის, დიქტატურაზე დამყნილი ხელისუფლება. შესაძლოა რუსეთის ეკონომიკა ოდნავ უკეთესი იყოს, ვიდრე უკრაინის, მაგრამ ისიც გამოჩნდა, რომ ეს დროებითია და სულ მალე ყველაფერი რადიკალურად შეიძლება შეიცვალოს.

**- დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ რუსეთის შემდეგი შესაძლო ნაბიჯი იქნება ქიმიური ან ბიოლოგიური იარაღის გამოყენება (რომ აღარაფერი ვთქვათ კიდევ უფრო კატასტროფულ - ბირთვულ იარაღზე)...**

- არა მგონია, თუ ეს არ იქნება იმ ოპერაციის ნაწილი, რომელიც საბოლოოდ ისევ უკრაინელებს დაბრალდება. ქიმიური იარაღი არ გამოუყენებია ბრძოლებში ჰიტლერს (საკონცენტრაციო ბანაკებს არ ვგულისხმობ), მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის დროს იხმარეს, მაგრამ თუ რუსეთს შეექმნა, პუტინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეგზისტენციალური კრიზისი“, კრემლი გამოიყენებს ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს - უფრო ეს უნდა ვიფიქროთ, ღმერთმა დაგვიფაროს, რა თქმა უნდა. ვიმედოვნებ, აშშ-ის დაზვერვა კარგადაა ინფორმირებული და წინასწარ ეცოდინება კრემლის ზრახვები.

**- უკრაინელთა კონსოლიდირებას ბზარი გაუჩნდა, „ნაციონალისტები“ მთავრობას ღალატში სდებენ ბრალს, არ იწონებენ სტამბოლის მოლაპარაკებებზე სტრატეგიული საკითხების დათმობას.**

- „ნაციონალისტები“ წარმოადგენენ უკრაინის რადიკალურად განწყობილ პოლიტიკურ სპექტრს, ეს არის უკრაინული პოლიტიკის კონსტანტა. იქაც, როგორც ჩვენთან, არის უფრო კონსტრუქციული, ცენტრისტული ძალები და არიან რადიკალები. ჯერ კიდევ ომამდე, იქ ყოფნისას, კარგად ვიგრძენი უკრაინის გარკვეულ რეგიონებში რუსული ყოფის აბსოლუტური მიუღებლობა, თანაც ისეთი დოზით, როგორიც იშვიათად შემხვედრია რომელიმე სხვა ერში. საქართველოში მსგავსი არაფერია. ამას აქვს თავისი მიზეზი. უკრაინაში ყოველთვის მაღალ დონეზე იყო განვითარებული სოფლის მეურნეობა და ის ყოველთვის მაღალ დონეზე აწარმოებდა იმპორტზე გასატან პროდუქტს როგორც საბჭოთა კავშირის დროს, ისე - ახლაც. გასული საუკუნის 30-იან წლებში, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ მოახერხა და შიმშილით ამოხოცა 6 მილიონამდე უკრაინელი („ჰოლოდომორი“). ეს წამებით სიკვდილი იყო, ნამდვილი გენოციდი. სოფლები დატოვეს სათესლე მასალის გარეშეც კი. კანიბალიზმის შემთხვევებიც აღირიცხა. ეს ახსოვს ხალხს, არც იმდენი დროა გასული. ფაქტები აღწერილია ლიტერატურაშიც. მოკლედ, უკრაინელებს საკმაოდ დიდი მიზეზი აქვთ, არ ენდონ რუსეთს. მე არ ვიცი, როგორ დასრულდება ეს ომი, მაგრამ ზელენსკის რომ მოუწევს წინააღმდეგობების გადალახვა - ფაქტია. არ არსებობს მოლაპარაკება კომპრომისების გარეშე. სხვა შემთხვევაში ეს მოლაპარაკება კი არა, კაპიტულაციაა, რომელზეც არც ერთი მხარე არ წავა. აქედან გამომდინარე, უნდა მოიძებნოს კომპრომისი, აი, თუნდაც რამდენიმე წლის განმავლობაში კონფლიქტის გაყინვა. ცხადია, „ნაციონალისტები“ უკმაყოფილო დარჩებიან, მაგრამ აქ გაირჩევა, ვის პოზიციას გაიზიარებს საზოგადოება.

**- ბატონო გიორგი, გადმოვინაცვლოთ ბათუმში, სადაც შუალედური არჩევნები „ოცნებამ“ პირწმინდად მოუგო ოპოზიციას. როგორ ფიქრობთ, აქ „ომის ეფექტმა“ ხომ არ ითამაშა გადამწყვეტი როლი?**

- „ქართულმა ოცნებამ“ მოიგო რამდენიმე მიზეზის გამო. პირველია „ომის ეფექტი“, რადგან ასეთ ვითარებაში ხალხს სჭირდება სტაბილურობა და მშვიდობა. მეორე - შუალედურ არჩევნებს, როგორც წესი, იგებს მთავრობა, რადგან მთელი საქართველო კი არ აქვს მოსავლელი, არამედ ერთი კონკრეტული უბანი, სადაც ხდება ფინანსების, რესურსების და კადრების ფოკუსირება, თითო მოქალაქეზე თითო კოორდინატორის დანიშვნასაც კი ახერხებენ. მესამე - ამ შუალედურმა არჩევნებმა კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების მთავარი ნაკლი - ოპოზიციური პარტიების უმრავლესობის მიდგომა არის შემდეგი: ხელისუფლების შეცვლა ნებისმიერ ფასად, ხოლო მმართველი პარტიის - ხელისუფლების შენარჩუნება.

**- ასე არ დგას საკითხი ნებისმიერ ქვეყანაში?**

- არა, განვითარებული, მდგრადი დემოკრატიის ქვეყნებში ხდება დემოკრატიისათვის სისტემური გარანტიების შექმნა და თანამონაწილეობა ქვეყნის მმართველობაში. იქ არავინ მოდის ოპონენტის განადგურების მუქარით. იქ, როგორც წესი, მართავენ კოალიციები. ვერც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ვერც „ქართული ოცნება“ ქვეყნიდან ვერ გაქრება. უნდა ისწავლონ თანაცხოვრება. სამწუხაროდ, „ნაციონალებს“ და მათ ფარვატერში მყოფ მცირე პარტიებსაც ეს შავ-თეთრი ხედვა აქვთ, რაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა შუალედურმა არჩევნებმა (ეს არ ეხება ელისაშვილის „მოქალაქეებს“ და „გირჩს“).

**- „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ყველაზე ძლიერ ოპოზიციად თვლიან.**

- დიახ, არის კიდეც, თუმცა ისიც ჩანს, რომ გაიყინა ამომრჩევლის ერთ მესამედზე, რაც შესანიშნავი მაჩვენებელია ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნისთვის. ხმების ეს რაოდენობა იძლევა საშუალებას, სერიოზული დოზით იყო ჩართული ხელისუფლებაში, ქვეყნის მართვაში, მაგრამ ჩვენთან არავის ჰყოფნის 30, მინიმუმია - 51%. როდესაც „ნაციონალები“ შეეგუებიან ამ ზღვარს, ქვეყანაში პოლიტიკური გარემო გამოჯანსაღდება.

**- ანუ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ უნდა წავიდეს კონსტრუქციულ თანამშრომლობაზე მმართველ პოლიტიკურ ძალასთან?**

- ბუნებრივია. უინსტონ ჩერჩილი ამბობდა: თუ ხელისუფლება მოგწონს, ფსიქიატრს უნდა მიმართო. ღარიბი საქართველოს ხელისუფლება რატომ უნდა მოგწონდეს, მით უმეტეს, მისი საშინელი მესიჯ-ბოქსის ფონზე?! ხელისუფლების სიყვარულს არავინ გთხოვს. გინდა ხელისუფლებაში მოსვლა? იმუშავე, ითანამშრომლე, შესაძლო მონაწილეობა მიიღე ქვეყნის მართვაში და გაიმარჯვე არჩევნების გზით. სხვა შემთხვევაში, გამოცხადებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, არავინ დაგითმობს ქვეყნის მართვის პოზიციებს. ჩაყრიან მილიარდებს და იგივე სურათს მიიღებ, რასაც აქამდე იღებდი.

**- ირმა ინაშვილი და თარხან-მოურავი კი პუტინთან გარბიან...**

- ორ რამეს გეტყვით, ერთს, ექსკლუზიურად, თქვენი გაზეთისთვის: ოთხიოდე წლის წინ ირმა ინაშვილს და მის გუნდს ერთ-ერთ გადაცემაში შავრაზმელები ვუწოდე, რის გამოც სასამართლოში მიჩივლეს. სასამართლო მოვიგე, მოსამართლემ დაადგინა, რომ მე არ გავცდენილვარ სიტყვის და აზრის თავისუფლების ფორმატს. მაშინ, სასამართლოში ისიც განვაცხადე, რომ „პატრიოტები“ დაფინანსებას, ჩემი აზრით, რუსეთიდან იღებდნენ. ამაზე ცალკე გიჩივლებთო, დამემუქრნენ. ასე რომ, მეც მაქვს ამ ორგანიზაციის მიმართ საკუთარი „დამსახურებები“. მეორეც - თარხან-მოურავიც და ირმა ინაშვილიც ღიად, თამამად აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას, აცხადებენ, რომ საკუთარ ქვეყანას ხედავენ მხოლოდ ევრაზიულ სივრცეში, რომ მოსკოვი მეტ გარანტიებს შეგვიქმნის და სხვა. გაცილებით რთულია დისკუსია ფარულ პოლიტიკოსებთან, ევროპული რიტორიკით და მოსკოვური გულ-ღვიძლით. საქართველოში, მოდური, მეინსტრიმული რიტორიკა არის დასავლეთი, ნატო და ასე შემდეგ, მაგრამ „შინაურობაში“, პირისპირ დარჩენილები, სხვა ტონალობასაც ურევენ, ასე რომ, ნუ გავაბიაბრუებთ ირმა ინაშვილის ნაბიჯებს. მასაც ჰყავს დასაყრდენი ძალა საქართველოში, თუ გამოუჩნდება უკეთესი სპიკერები, არ არის გამორიცხული, კიდევ უფრო მეტი პოპულარობა მოიპოვოს. აქედან გამომდინარე, საქართველოსთვის სასიკეთოდ, პოზიციასაც და ოპოზიციასაც, მიღებული გადაწყვეტილებების დინჯად, კონსტრუქციულად გაანალიზება და შექმნილი ურთულესი სიტუაციის ერთობლივად განხილვა მოეთხოვება.

## ბორის ჯონსონის წერილი – ირაკლი ღარიბაშვილს

„ბატონო პრემიერ-მინისტრო, ამა წლის 27 აპრილს გაერთიანებული სამეფო და საქართველო დიპლომატიური ურთიერთობის განახლების 30 წლის იუბილეს აღნიშნავენ. მსურს, ეს შესაძლებლობა გამოვიყენო და კვლავ დაგიდასტუროთ, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გაერთიანებული სამეფო იმ ურთიერთობას, რომელიც ჩვენ ორ ქვეყანას შორის არსებობს. აღსანიშნავია ის წინსვლა, რომლის თვითმხილველნიც საქართველოში გავხდით დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან. ბოლო 30 წლის განმავლობაში გაერთიანებული სამეფო და საქართველო თანამშრომლობენ მნიშვნელოვანი პარტნიორობის გასავითარებლად, რაც მრავალ სფეროს მოიცავს და მათ შორისაა პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური, უსაფრთხოების, თავდაცვის, განათლებისა და კულტურული მიმართულებები. მახარებს ის, თუ როგორ გაფართოვდა და აყვავდა ის ურთიერთობა, რომლის სიმბოლოდ იქცა უორდროპის სტრატეგიული დიალოგის ყოველწლიური ფორმატი ისევე, როგორც ჩვენი ორმხრივი პარტნიორობისა და თანამშრომლობის ახალი შეთანხმება. ასევე ვაფასებთ ჩვენს თანამშრომლობას რეგიონალურ და გლობალურ საკითხებზე, მათ შორის გარემოსდაცვით და კლიმატის ცვლილების მიმართულებით. კარგად ვაცნობიერებ იმ ფაქტს, რომ პროვოცირების გარეშე, ვლადიმერ პუტინის მხრიდან წინასწარი განზრახვით განხორციელებული ბარბაროსული თავდასხმა უკრაინაზე კიდევ უფრო ამძაფრებს იმ გამოწვევებს, რომლებსაც საქართველო მრავალი წელია, მამაცად უპირისპირდება. გაერთიანებული სამეფო და საერთაშორისო თანამეგობრობა მსოფლიო ერების თავისუფლებისთვის, დემოკრატიისა და სუვერენიტეტისთვის ამ ღია აგრესიის პირისპირ დგანან. მინდა ასევე გარწმუნოთ, რომ მტკიცედ ვდგავართ საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ქართველი ხალხის ევრო-ატლანტიკური არჩევანის სადარაჯოზე.მოუთმენლად ველი მომდევნო წლებში ჩვენი პარტნიორობის უწყვეტ განვითარებას“, - აღნიშნავს გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისთვის გაგზავნილ ოფიციალურ წერილში.

**ამირან გურიელიძე**

# „მოხდება თავისუფალი სამყაროს და სიბნელის იმპერიის გადამწყვეტი შერკინება“

**მარიამ ხითარიშვილი 27 48 93**

*მიმდინარე ომში ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენების შესაძლებლობაზე, ამ იარაღის დანიშნულებაზე, საქართველოში არსებულ ლუგარის ლაბორატორიასა და ბათუმის შუალედურ არჩევნებზე საუბრობს „ევროპული საქართველოს“ მდივანი, აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ექიმი* ***ვახტანგ კალოიანი****, რომელსაც მიუღებლად მიაჩნია „პატრიოტთა ალიანსის“ ხელმძღვანელთა მოსკოვში გამგზავრება და ამ ფაქტს ღალატად აფასებს.*



**- როგორ აფასებთ საქართველოს მთავრობის პოზიციას უკრაინა-რუსეთის ომთან მიმართებაში?**

- მთავრობის პოზიცია ამ ომთან მიმართებაში არის არათანმიმდევრული და სახიფათო. თავი დავანებოთ მორალურ მხარეს, სუფთა პრაგმატულად, ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია უკრაინასთან და მთელ დასავლურ სამყაროსთან ძლიერი, საიმედო თანამშრომლობა და სტაბილური მოკავშირეობა. საქართველოს ხელისუფლების რიტორიკა კი საკმაოდ საზიანოა. ასევე სახიფათოა ჩვენი მთავრობის დამოკიდებულება სანქციებთან და ორმაგი დანიშნულების ტვირთებთან მიმართებაში, რომლის ექსპორტი, შესაძლოა რუსეთში განხორციელდეს.

**- ამაზე ხომ გააკეთა განცხადება პრემიერმა?**

- კი. ამ ბოლოს მის მიერ გაკეთებული განცხადება, შედარებით უკეთესია, მაგრამ უნდა მოაყოლოს კონკრეტული ნაბიჯები, კერძოდ, მთავრობის 372-ე და 394-ე დადგენილებებში შესაბამისი ცვლილებების შეტანაა აუცილებელი, რათა ამ განცხადებას მიეცეს რეალური შინაარსი.

**- ბიოლოგიურ ლაბორატორიებზე დეზინფორმაციის გავრცელებას და გამოყენებას რუსეთი წლებია ცდილობს საქართველოში. მაინც რას წარმოადგენს ლუგარის ლაბორატორია და რა დატვირთვა აქვს სამედიცინო სფეროში?**

- ეს არის რუსული პროპაგანდის ტიპური ნიმუში, ანუ რაც უფრო დიდ სისულელეს, სიგიჟეს და ტყუილს იტყვი, მით უფრო დამაჯერებლად გამოიყურება. ლუგარის ლაბორატორია არის ღია, სამედიცინო, სამეცნიერო ჯანდაცვის დაწესებულება, რომელიც არ იხურება არავისთვის არასდროს. იქ მიმდინარე პროცესებიც საჯაროა და ის დეზინფორმაცია, რაც რუსული არხებიდან მომდინარეობს, აბსოლუტური აბსურდია. ეს ცნობები, ძირითადად, შიდა აუდიტორიისთვისაა განკუთვნილი, რომელსაც ჯანდაცვის არც ერთი მუშაკი სერიოზულად არ აღიქვამს.

**- რამდენად მოსალოდნელია რუსეთის თავდასხმა საქართველოზე. კულუარებში გაიჟღერა ინფორმაციამ, რომ მაღალ სამხედრო ეშელონებში ემზადებიან მსგავსი სცენარისთვის?**

- სამწუხაროდ, უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთი უკვე საქართველოშია - როგორც აფხაზეთში, ისე ცხინვალის რეგიონში და საკმაოდ ღრმად არის „ჩადგმული“ შიდა ქართლში, ეს უკვე შემდგარი ფაქტია. რაც შეეხება სამხედრო აგრესიის კიდევ ახალ ტალღას, ამ ეტაპზე ამის რისკები, რა თქმა უნდა, არის. რუსეთი, როგორც არაპროგნოზირებადი, ტერორისტი ქვეყანა, არავინ იცის, როდის რას გააკეთებს.

**- თუკი თავს დაგვესხა?**

- მხოლოდ და მხოლოდ დასავლელ პარტნიორებთან თანამშრომლობა, მათთან კავშირი გვიშველის. ამავე დროს, აუცილებელია თავდაცვისთვის მზადება.

**- ანუ 2008 წლის პროცესების განმეორებას გულისხმობთ?**

- არავითარ შემთხვევაში. მე არ ვგულისხმობ არანაირ სამხედრო თუ სხვა ტიპის პროვოკაციაზე წამოგებას, რაც შეიძლება ნებისმიერ წამს განახორციელოს რუსეთმა, მაგრამ საკუთარი ქვეყნის და მოქალაქეების თავდაცვისთვის მომზადება, როგორც საგარეო, ისე საშინაო ასპარეზზე, ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი ამოცანაა მსოფლიოში არსებულ ამ ურთულეს სიტუაციაში.

**- დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ რუსეთის შემდეგი შესაძლო ნაბიჯია ქიმიური ან ბიოლოგიური იარაღის გამოყენება. თუ შეგიძლიათ, დეტალურად აგვიხსნათ, რას ნიშნავს ეს?**

- ბიოლოგიური იარაღის გამოყენება ნიშნავს იმ მიკროორგანიზმების სამხედრო წესით გავრცელებას, რომელმაც შესაძლოა, გამოიწვიოს მოქალაქეების მასიური დაავადმყოფება, დაზიანება. არსებობს ხელშეკრულებები, რომლითაც რუსეთმა თავის თავზე აიღო ბიოლოგიური იარაღის განადგურების ვალდებულება, მაგრამ როგორც სხვას, ისე ამ კონვენციასაც ის არ ასრულებს. აქედან გამომდინარე, კრემლის ბრძანებით, ბიოლოგიური იარაღის გამოყენება გამორიცხული არ არის. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უკრაინაში რუსეთმა უკვე გამოიყენა ქიმიური იარაღის ერთ-ერთი სახეობა. საბედნიეროდ, ჯერჯერობით, მასიურად - არა, თუმცა იმ მარცხის პირობებში, რაც მან ამ ომში იწვნია, მოსკოვისგან არაადამიანური და პირველ რიგში, საკუთარი ხალხისთვის დამღუპველი ნაბიჯების გადადგმაც არ არის გამორიცხული.

**- უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩეველი მიხაილო პოდოლიაკი ვარაუდობს, რომ ზელენსკისა და პუტინის შეხვედრა შედგება დონბასში „დიდი ბრძოლის“ შემდეგ. რა იცით ამ ფრონტის შესახებ, რომელზეც, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყველაზე დიდმასშტაბიანი ბრძოლა გაიმართება?**

- ძალიან ბევრი სერიოზული, სანდო, კვალიფიციური ანალიტიკოსის აზრი შეგვიძლია მოვისმინოთ ამ ბრძოლის შესახებ საჯარო საინფორმაციო სივრცეში. ფაქტი არის, რომ რუსეთი ცდილობს მთელი ძალების კონცენტრირებას დონეცკში. მან უკვე გაიყვანა საჯარისო ნაწილები ჩერნიგოვიდან და კიევიდან დონეცკის, ლუგანსკის და ხარკოვის მიმართულებით, რათა აქ გახსნილ ფრონტზე მიიღოს გადამწყვეტი უპირატესობა. ორივე მხარის სამხედრო კოლონები დაიძრა ჩრდილოეთ უკრაინიდან და მიემართება აღმოსავლეთისკენ. სავარაუდოდ, რამდენიმე დღის, ან კვირის განმავლობაში, იქ შედგება დიდი ბრძოლა, რაც მობილიზებული რესურსებიდანაც კარგად ჩანს. იმედი უნდა ვიქონიოთ, მოხდება თავისუფალი სამყაროს და სიბნელის იმპერიის გადამწყვეტი შერკინება, რომელიც ალბათ, საბოლოოდ გაარკვევს ამ აგრესიული სამხედრო ავანტურის ბედს.

**- ზოგიერთი ანალიტიკოსი უკრაინელების გამარჯვებას არც კი უშვებს.**

- მე არ დავეთანხმები მათ, რადგან უკრაინელებმა მსოფლიოს აჩვენეს უდიდესი სულისკეთება. მათი შეიარაღებული ძალები კვალიფიციურად და ეფექტურად ახერხებენ აქამდე დაუმარცხებელ რუს ჯარისკაცებთან გამკლავებას სხვადასხვა ტაქტიკური სქემის გამოყენებით, რაც ადასტურებს უკრაინის სამხედრო ნაწილების და მათი გენერალური სამხედრო შტაბის მაღალ კვალიფიკაციას. ცალკე აღნიშვნის ღირსია უკრაინელების სამოქალაქო გმირობა. ყველაფერმა ერთად, არ მისცა საშუალება ამ გავეშებულ ურდოს, დაეპყრო ჩრდილოეთ უკრაინა, რუსებს მოუწია იქიდან გასვლა. ახლა ეცდებიან დონეცკის და ლუგანსკის რეგიონებში მოიპოვონ გამარჯვება და „გაყიდონ“ როგორც უკრაინაში ომის წარმატებული ომი. შეიცვალა უკრაინის ბრძოლების მიმართულებაზე პასუხისმგებელი რუსული სარდლობა, რაც მოსალოდნელი იყო. ეს მეტყველებს უკრაინაში წამოწყებული სამხედრო კონფლიქტის წარუმატებლობაზე თავდასხმის პირველ ფაზაში. იმედი ვიქონიოთ, დასავლეთის სამხედრო, ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით, გმირი უკრაინელი სამხედროებისგან რუსეთის შეიარაღებული ძალები უზარმაზარ დარტყმას მიიღებს.

**- ვმასპინძლობთ უკრაინელ ლტოლვილებს. ამასთან დაკავშირებით რას გვეტყოდით?**

- ბათუმმა, როგორც მთელმა საქართველომ, ღიად, დიდი სიყვარულით და მზრუნველობით მიიღო უკრაინელები, რომლებიც იძულებულნი გახდნენ, გამოქცეოდნენ იქ არსებულ ტრაგიკულ ვითარებას. ყველა მათგანი უზრუნველყოფილია ბინით, საკვებით, ჯანდაცვის სერვისებით. არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი ბათუმელი კაცის - გენო თებიძის უდიდესი შრომა ამ მიმართულებით. იგი ყველასგან გამორჩეულად, საკუთარი ოჯახის წევრებივით უვლის ამ ადამიანებს. ყველა მოქალაქე, პარტიული კუთვნილების და პოლიტიკური სიმპატიების მიუხედავად, ცდილობს დაეხმაროს უკრაინელ ლტოლვილებს და უზადოდ უმასპინძლოს ჩვენს სტუმართმოყვარე, ულამაზეს ქალაქში.

აქვე აღვნიშნავ, რომ საკმაოდ დიდი მოცულობის ჰუმანიტარულ ტვირთს ვაგზავნით უკრაინაში. ქართულმა საზოგადოებამ და კონკრეტულად, ბათუმმა, ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი მაგალითი აჩვენა, რაც პატივსაცემი და დასაფასებელია. ეს არის ჩვენს მიერ შეტანილი მცირე წვლილი უკრაინელი მეგობრების გამარჯვებაში, რომელსაც მალე ვიზეიმებთ. აქვე მოვიყვან სტატისტიკურ მონაცემებსაც, საქართველო 191 ქვეყანას შორის პირველ ადგილზეა უკრაინისთვის 400 ტონა ჰუმანიტარული ტვირთის მიწოდებით. შესაბამის ოფიციალურ მონაცემებს უკრაინის სახელმწიფო ფოსტა - UUkrposhta აქვეყნებს. ამავე უწყების ცნობით, საქართველო იმ 14 ქვეყანას შორისაც დასახელდა, რომელიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აძლევს საშუალებას, უფასოდ გააგზავნონ საფოსტო გზავნილები (ამანათები) უკრაინის მიმართულებით, მათთვის სასურველ ადრესატებთან.

**- თქვენ თავად მონაწილეობდით ბათუმის თვითმმართველობის არჩევნების პირველ ტურში და ცხადია, თვალყურს ადევნებდით შუალედური არჩევნების მიმდინარეობას. როგორ შეაფასებთ ოპოზიციის დამარცხებას იმ უბანში, რომელიც მანამდე მოიგო?**

- აქ რამდენიმე გარემოებამ ითამაში დიდი როლი, მათ შორის, ოპოზიციის შეცდომებმა და პოზიციის ძალიან უხეშმა, არაკანონიერმა ჩარევამ. მაგალითად, 1000 მოქალაქის საარჩევნო უბნებში ჩაწერას. ბევრი იყო მათგან ხულოს რაიონიდან. მთელი ადმინისტრაციული რესურსი გამოიყენეს და ნება, რომელიც გამოხატა თვითმმართველობის არჩევნებში ბათუმის მოსახლეობის 60%-მა - არ შეესაბამება მიღებულ შედეგს.

**- ამას ხელისუფლებას აბრალებთ?**

- ხელისუფლება ცდილობს ძალაუფლების შენარჩუნებას და ყველაფერს აკეთებს უკანონო გზებით. იმუქრება პარლამენტის თავმჯდომარეც, მან დააანონსა, რომ კიდევ რამდენიმე მუნიციპალიტეტს გადატეხავენ წელში, მაგრამ მინდა ვიყო თვითკრიტიკული და დამარცხებაში ოპოზიციის გარკვეულ ტაქტიკურ შეცდომებზეც მივუთითო.

**- მაინც რა შეცდომებს გულისხმობთ? როგორც წესი, ოპოზიციას არ უყვარს საკუთარ ხარვეზებზე საუბარი...**

- შეცდომები იყო ამ არჩევნების კამპანიის პირველივე ტურში, ტექნიკური ხარვეზებიც შეინიშნებოდა, რაც ხელისუფლებამ მაშინვე გამოიყენა. ოპოზიციამ უნდა შეძლოს გამაერთიანებელი იდეის შეთავაზება ჩვენი მოქალაქეებისთვის და ისეთი წარმატების მოპოვება, რომელსაც ვერ მოიპარავს „ქართული ოცნება“, უბრალოდ, აღარ ეყოფა ამისთვის არც ტექნიკური და არც ადმინისტრაციული რესურსი. სამწუხაროდ, ის ზეწოლა, რაც ნუგზარ ფუტკარაძეზე განხორციელდა, იყო ძალიან ამორალური. ხელისუფლებამ შეძლო ამ მძიმე ბრძოლაში უწესო მეთოდებით, საკრებულოს შემადგენლობის საკუთარ მხარეზე გარდატეხა. მე მაინც ვიტოვებ იმედს, ოპოზიცია შეძლებს ბათუმის საკრებულოში საკუთარი პოზიციების მყარად შენარჩუნებას, რადგან არსებობს ამის იურიდიული და ტექნიკური საშუალებები. ვნახოთ, რა იქნება, ბრძოლა წავაგეთ, მაგრამ ომი არ დასრულებულა, ყველაფერი წინ არის.

**- ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარეობს, რომელსაც რეფერენდუმიც მოჰყვება...**

- ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩატარებულ არჩევნებს და რეფერენდუმს, არანაირი იურიდიული ძალა არ გააჩნია. საბოლოო ანექსიისთვის პუტინი რა გზას გამოიყენებს, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. განმსაზღვრელი არის ჩვენი მზაობა, საქართველოს სახელმწიფოს სიძლიერე. მხოლოდ ეს შეცვლის აფხაზეთისა და შიდა ქართლის მოქალაქეების პოზიციას და არა ის, რა შედეგებს გააფორმებენ და რას ჩაწერენ საოკუპაციო რეჟიმში ჩატარებულ არჩევნებში. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რა შედეგებიც არ უნდა „დადოს“ კრემლმა, ძალა არ ექნება. ამაზე უკვე განცხადებები გააკეთეს ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა - აშშ-ის საელჩომ, ბრიტანეთმა, ევროკავშირმა, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა და სხვ. მათ კიდევ ერთხელ დაგვიდასტურეს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ურყევია, მარტო არ ვართ და ჩვენს გვერდით დადგებიან ქვეყნის რუსეთის ნებისმიერი ავანტურისგან დასაცავად. აქვე აღვნიშნავ, რომ შიდა ქართლისგან განსხვავებით, აფხაზეთში სხვა ვითარებაა. იქაური საზოგადოება არ არის მზად რუსეთთან სრული ასიმილაციისთვის. რა თქმა უნდა, გარკვეულ საფუძველს იტოვებს ეფექტური თანამშრომლობისთვის, თუმცა ყველაფერი ისევ და ისევ ქართულ სახელმწიფოზეა დამოკიდებული - რამდენად მიმზიდველი და საიმედო პარტნიორი იქნება როგორც დასავლეთისთვის, ისე სოხუმისა და ცხინვალისთვის.

**- დაბოლოს, ირმა ინაშვილის და მისი გუნდის შესახებ რას იტყვით?**

- ეს არის კლასიკური ღალატი, მეხუთე კოლონისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი საქციელი, რომელიც კრიტიკას ვერ უძლებს. ახლა მიმდინარეობს კონკურენცია „პატრიოტთა ალიანსსა“ და „ალტ-ინფოს“ შორის, რომელი უფრო წარმატებული ფავორიტი იქნება რუსეთის კარზე და მეტ დაფინანსებას მიიღებს. ამათი პოზიცია კარგა ხანია გასაგებია და კრემლთან საუბარი, თუნდაც ნეიტრალიტეტზე, ჩამოგავს კრავის მგელთან დიალოგს. ეს მოღალატის ქმედებების შეფუთვას მოგვაგონებს, რის უკანაც დგას ღიად დეკლარირებული რუსული ინტერესები.

*„- შეცდომები იყო ამ არჩევნების კამპანიის პირველივე ტურში, ტექნიკური ხარვეზებიც შეინიშნებოდა, რაც ხელისუფლებამ მაშინვე გამოიყენა. ოპოზიციამ უნდა შეძლოს გამაერთიანებელი იდეის შეთავაზება ჩვენი მოქალაქეებისთვის და ისეთი წარმატების მოპოვება, რომელსაც ვერ მოიპარავს „ქართული ოცნება“, უბრალოდ, აღარ ეყოფა ამისთვის არც ტექნიკური და არც ადმინისტრაციული რესურსი*

## საქართველოს ბანკის მხარდაჭერით...

დღეს საქართველოს ბანკისა და „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ პარტნიორობის ფარგლებში თბილისში იუნესკოს წიგნის მსოფლიო დედაქალაქების ქსელის პირველი შეხვედრა გაიმართება. მას იუნესკოდან, გამომცემელთა საერთაშორისო ასოციაციიდან, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობისა და საერთაშორისო საბიბლიოთეკო ასოციაციიდან მოწვეული სტუმრები, ასევე იმ ქალაქების მერები და პროექტის წარმომადგენლები დაესწრებიან, რომლებიც უკვე იყო ან მომავალში იქნება იუნესკოს წიგნის მსოფლიო დედაქალაქი.

იუნესკოს წიგნის მსოფლიო დედაქალაქების ქსელის შეხვედრა „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ბოლო აქტივობა იქნება. ამა წლის 23 აპრილს ამ სტატუსს მექსიკის დედაქალაქი გვადალახარა გადაიბარებს, გაისად კი წიგნის მსოფლიო დედაქალაქი განას დედაქალაქი აკრა იქნება. აღსანიშნავია, რომ იუნესკოს ზემოხსენებული პროექტის დაარსებიდან დღემდე ამ სტატუსს სხვადასხვა კონტინენტისა და ქვეყნის 23 ქალაქი ატარებდა.

ინფორმაციისთვის: იუნესკოს პროექტი „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“, ერთ-ერთია იმათგან, რომელიც საქართველოს ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტი მიზნად ისახავს წიგნისა და კითხვის პოპულარიზაციას, ხელს უწყობს წიგნის ინდუსტრიისა და მასთან დაკავშირებული ყველა სფეროს განვითარებას, თანამედროვე ავტორების, მთარგმნელების, ბიბლიოთეკების, გამომცემლების ხელშეწყობას.

**ამირან გურიელიძე**

# «ყველაზე მეტად ის მაღელვებს, რომ ქართული სოფლები ცარიელდება»

***80 წლის მიხეილ ფუტკარაძე შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული უხუცესთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ «ფესვების» წევრია, ამავე ცენტრთან არსებული ფოლკლორულ ანსამბლ «მარეთის» წევრია მიხეილის შვილი რუსლანი. დიდი ტრადიციების მქონე ანსამბლ «შუახევის» სოლისტია მიხეილის შვილიშვილი ედიშერი. სიმღერისა და ცეკვის ქალთა ანსამბლ «ნაის» წევრი იყო მიხეილის მეორე შვილიშვილი თინიკო, მაგრამ ოჯახის შექმნის შემდეგ, ანსამბლი დროებით დატოვა. იყო წლები, როცა გოგინაურის კულტურის სახლის ანსამბლში ერთად მოღვაწეობდნენ მამა-შვილი მიხეილ და რუსლან ფუტკარაძეები და რძალი მარინა მიქელაძე***

მიხეილი აჭარა-შავშეთის ქედზე განფენილი კვიახიძეების მკვიდრია. 80 წლის განმავლობაში სოფლის ისტორიაში ბევრი რამ შეიცვალა. მიხეილი და მისი თაობის კვიახიძეებლები აბესალომ, ზურაბ, ვიქტორ ფუტკარაძეები, ბიჭიკო, რაჟდენ დიასამიძეები, აკაკი, ალექსანდრე თავდგირიძეები ამ სიახლეების მომსწრენი არიან. პროფესორ ბიჭიკო (მათე) დიასამიძის ინიციატივით სოფელში ტბელ აბუსერისძის დაბადებიდან 800, მშობლიურ სოფელში ქართული სკოლის აღდგენის და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების საიუბილეო თარიღები გადაიხადეს. ზეიმს სუფრაც მოჰყვა. იმ დღეს თანასოფლელებთან ერთად, მიხეილმა კიდეც იმღერა და «განდაგანას» თავისებური ილეთებით მოწვეული სტუმრები გააოცა. შუახევის მუნიციპალიტეტის მაშინდელი პირველი პირი მიხეილს შეჰპირდა, რომ ახლად ჩამოყალიბებულ უხუცესთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ «ფესვებში» მისი ადგილიც იქნებოდა. იმ დღიდან, 65 წლის ხელოვანის შემოქმედებაში ქორეოგრაფ ბადრი დარჩიძის ხელდასმით ახალი ცხოვრება დაიწყო. გული წყდება, რომ 15 წლის განმავლობაში მათ რიგებს «განდაგანას»,

> ***„დროის მოკლე მონაკვეთში «ფესვებმა» საქვეყნო აღიარება და ჯილდო მოიპოვა, მათ შორის, ფოლკლორის ეროვნული ცენტრის პრემია***



«ხორუმის» უბადლო შემსრულებლები დავით მჟავანაძე, მუხამედ ართმელაძე, ოთარ ჭაღალიძე, ტარიელ კაკალაძე, იოსებ დიასამიძე, ტარიელ მაკარაძე გამოაკლდნენ. უხარია, რომ «ფესვებში» ახლა მათი შვილები - ნოდარ დავითაძე, ბადრი ართმელაძე, მიხეილ კაკალაძე ცეკვავენ. ნოდარ დავითაძე ალიოსმან დავითაძის ილეთებს აცოცხლებს და ამდიდრებს, ბადრი ართმელაძე მუხამედ ართმელაძის «განდაგანას» ახსენებს მაყურებელს.

ქორეოგრაფი ბადრი დარჩიძე მხატვრულ-მუსიკალურ კომპოზიციაზე «აჭარული ქორწილი» მუშაობს. მიხეილი სიამაყითაა აღვსილი, რომ ამ დადგმაში შვილიშვილთან - ედიშერთან ერთად მონაწილეობს. ედიშერი და ანსამბლი «შუახევი» საქორწინო სიმღერას შეასრულებენ, მიხეილი და მისი «თანაგუნდელები» მუსიკალური ინსტრუმენტების თანხლებით იცეკვებენ.

დროის მოკლე მონაკვეთში «ფესვებმა» საქვეყნო აღიარება და ჯილდო მოიპოვა, მათ შორის, ფოლკლორის ეროვნული ცენტრის პრემია. იყო ბრწყინვალე გამოსვლა საჩხერეში, გასტროლი რაჭაში, კონცერტები კახეთის რეგიონის სოფლებში, სადაც აჭარიდან გადასულები სახლობენ.

იმხანად ფოლკლორის ეროვნულ ცენტრს გიორგი უშიკიშვილი ხელმძღვანელობდა. თავის ხალხმრავალ ქორწილზე მან «ფესვების» წევრებიც მიიპატიჟა და საზოგადოებას წარუდგინა.

მიხეილ ფუტკარაძემ ბათუმის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი 1965 წელს დაამთავრა. მაშინ სასწავლებელს შუახეველი ბესიკ დავითაძე ხელმძღვანელობდა. მიხეილი ერთგულ დამრიგებელს დღემდე ემადლიერება... სხვადასხვა წლებში იმუშავა ქედის რაიონის სოფელ ხარაულას, შუახევის რაიონის ტბეთის, ოლადაურის, ჭვანის, კვიახიძეების კლუბების ხელმძღვანელად, კულტურის სახლებთან არსებული ანსამბლების წევრიც იყო, მათ შორის, შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული 80-წევრიანი ანსამბლის, რომელიც ცნობილი კომპოზიტორის, საქართველოს რესპუბლიკის მაშინდელი კულტურის მინისტრის ოთარ თაქთაქიშვილის საიუბილეო საღამოზეც კი მიიწვიეს.

ქორწილი, ნიშნობა თუ დაბადების დღისადმი მიძღვნილი სუფრა კვიახიძეებში მიხეილისა და მისი ოჯახის წევრების გარეშე იშვიათობაა.

- სუფრის, ღვინის თაყვანისმცემელ ქართველებს ერთხანს ქორწილში, სხვა ღონისძიებებზე ღვინო აგვიკრძალეს. გავუძელით. 2008 წლის აგვისტოს ომიც გადავიტანეთ. პანდემიამ ყველგან და ყველაფერში შეგვზღუდა. მეზობელთან, მეგობართან სტუმრად ვეღარ მივდიოდით. ამასაც მოვესწარი. ახლა ყველაზე მეტად ის მაღელვებს, რომ ქართული სოფლები ცარიელდება, ახალგაზრდობა უცხოეთში მიდის და უკან აღარ ბრუნდება. ქორწილი, ნიშნობა სანატრელი გაგვიხდა. არადა, სოფელი ლამაზდება და მშვენდება. კვიახიძეებში სკოლის შესანიშნავი შენობა გვაქვს. ბიჭიკო დიასამიძის ინიციატივით, მუზეუმი გავხსენით. შუახევის რაიონულ ცენტრს 19 კილომეტრით მოშორებულ კვიახიძეებში მიმდინარე წლის ბოლოსთვის ასფალტ-ბეტონის საფარიანი გზა შემოვა... სოფელი მაინც დაცარიელდა. ერთ დროს 70-ზე მეტი სახლის საკვამურიდან ბოლი ამოდიოდა, ახლა 30 დავრჩით. მზის გამონათებას გავდა მზევინარ ნაკაიძის და დანიელ თავდგირიძის სახლში ახლახან გამართული ნიშნობა - მათი ქალიშვილი სალომე თავდგირიძე მომავალ მეზღვაურ გიორგი გოგიტიძეზე დაინიშნა. სადღეგრძელოს წარმოთქმაში, სტუმრის დახვედრაში, მშობლიური დედულ-მამულის პატრონობაში კვიახიძეებში მცხოვრებთ ბადალი არ ჰყავდათ. ტრადიციები არ უნდა დაიკარგოს. სოფელშიც შესაძლებელია ავტორიტეტი მოიხვეჭო, ხალხის ნდობა და სიყვარული დაიმსახურო. 38 წლის განმავლობაში სკოლის დირექტორი იყო აკაკი თავდგირიძე. თუ სოფლიდან წასულმა ბიჭიკო დიასამიძემ ღირსეული კვიახიძეებელის სახელი დატოვა, იგივე შეგვიძლია ვთქვათ აკაკი თავდგირიძეზე. პოეტური კრებულის, ისტორიულ-პუბლიცისტური წიგნის «კვიახიძეების» ავტორია სკოლის ახლანდელი დირექტორი თამაზ დიასამიძე. მეამაყება, რომ იგი ღირსეული წინამორბედის საქმეებს აგრძელებს, ისიც, რომ სოფელს არ ტოვებს, - გვითხრა 80 წლის ხელოვანმა.

პოლონეთი, უნგრეთი, თურქეთი... ეს იმ ქვეყნების არასრული ჩამონათვალია, სადაც «ფესვების» წევრები თავიანთი ხელოვნებით წარსდგნენ. მიხეილს დაუვიწყარ მოგონებად რჩება 1993 წლის ივნისი, როცა შუახევის რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელის ანზორ გოგიტიძის ინიციატივით, შუახევის 80-წევრიანი ფოლკლორული ანსამბლი გალათასარაის საერთაშორისო ფესტივალზე გამოვიდა.

- მაშინ შუახევი კი არა, მთელი საქართველო ვასახელეთ. მარტო კვიახიძეები-გოგინაურიდან 40 ქალი და კაცი ვიყავით სტამბოლში. არ დამავიწყდება გამოსვლა ქალაქ ინეგოლში, მიპატიჟება იქ არსებულ ქართული კულტურის ცენტრში, რომელსაც მაშინ მამია დუმბაძე ედგა სათავეში. ახლა ამ ცენტრმა არეალი გააფართოვა და მას ჩემი მოგვარე მენან ფუტკარაძე ხელმძღვანელობს. მას შემდეგ, ინეგოლში, «ჩვენებურების» მე-18 ფესტივალზე გამოვიდა ანსამბლი «ფესვები», - ამბობს მიხეილი, რომელსაც ისიც გამოუთვლია, რომ 67 წლის განმავლობაში 752-ჯერ იდგა მშობლიური ქვეყნისა და უცხოეთის სცენაზე, როგორც მომღერალი და მოცეკვავე.

# დაღუპულებს პატივი მიაგეს

***1989 წლის 19 მაისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ შუახევის მუნიციპალიტეტის რიკიხეთის უბანში, 9 აპრილს დაღუპულთა უკვდავსაყოფად, წყარო აკურთხა და 21 დაღუპულის პანაშვიდი გადაიხადა. მას შემდეგ ყოველი წლის 9 აპრილს, აქ საზოგადოების წარმომადგენლები მოდიან და ყვავილები მოაქვთ წყაროსთან და იხსენებენ ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის დაღუპულებს. ასე იყო წელსაც***



ტკივილიანი 9 აპრილის, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიერ ამ დღეს ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობის დღის გამოცხადების მნიშვნელობაზე ისაუბრეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ როსტომ ლორთქიფანიძემ.

33 წლის შემდეგ, წელს პირველად, სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის, მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით, დეკანოზებმა პეტრემ, გიორგიმ და პავლემ 9 აპრილს დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს.

- თაობებმა უნდა იცოდნენ და ახსოვდეთ ამ დღის მნიშვნელობა. სამი თაობის შუახეველები მოვედით რიკიხეთის უბანში და პატივი მივაგეთ 21 დაღუპულის, 427 დასახიჩრებულის გმირულ თავდადებას, - გვითხრა ომარ ტაკიძემ.

9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა ქედასა და ხულოში. დაბა ქედის ცენტრსა და ხულოში არსებული 9 აპრილის მემორიალები ყვავილებით შეამკეს საზოგადოების წარმომადგენლებმა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა.

# მეწყერი გააქტიურდა

***თოვლდნობას, ტემპერატურის ცვალებადობას, წვიმებს აჭარის მთიანეთში მეწყრული პროცესების გააქტიურება მოჰყვა. შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ დღვანის მელივრის უბანში მისასვლელ გზაზე ჩამოწოლილმა მეწყერმა გზის სავალი ნაწილი ჩახერგა და რამდენიმე კომლი იზოლაციაში რჩება***

სოფელ ჩანჩხალოში მეწყრის ახალი კერები ჩნდება, რაც რამდენიმე ოჯახს საფრთხეს უქმნის. მეწყერი გააქტიურდა ცინარეთში, ჯაბნიძეებში, ზემოხევში, ნიგაზეულში, სხეფში, ოლადაურში.

სტიქიამ საფრთხე შეუქმნა ხულოს მუნიციპალიტეტის სხალთის, ღორჯომის, ბეღლეთ-დანისპარაულის ხეობებში მცხოვრებ რამდენიმე ოჯახს. თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები პრევენციულ ღონისძიებებს ატარებენ, რათა მსხვერპლი თავიდან აიცილონ.

სინოპტიკოსები უახლოეს დღეებში ნალექებს ვარაუდობენ, რაც მეწყრულ პროცესებს კიდევ უფრო გააააქტიურებს.



# ნაკლზე მიუთითეს

***რთული ზამთრის გადატანა მოუხდათ აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, სისტემაში დასაქმებულ მექანიზატორებს, მეგზეებს***. გასული წლის დეკემბრიდან მოყოლებული, ამინდის ჭირვეულობას საშველი აღარ დაადგა. მარტისა და აპრილის არამდგრადმა ამინდებმა მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. გახშირებული მეწყრული პროცესები, ქვათაცვენა მუშახელისა და ტექნიკის მობილიზებას, უქმე დღეებშიც კი მათ დასაქმებას ითხოვს.



აპრილის პირველ დღეებში ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების სოფლებში «სოფლის მხარდაჭერის პროგრამის» თანხების მიზნობრივი განკარგვისთვის კრებები გაიმართა. მოსახლეობამ პირველ რიგში, გზების კეთილმოწყობა, შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი მოითხოვა.

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ქიძინიძეებში გამართულ კრებაზე კრიტიკული შენიშვნები გამოითქვა იმ მეწარმის მისამართით, რომელმაც შიდასასოფლო გზაზე ბეტონის საფარი დააგო. უხარისხოდ შესრულებულმა სამუშაოებმა ერთ ზამთარსაც ვერ გაუძლო. მოსახლეობის წარმომადგენლებმა იმ კომისიასაც უსაყვედურეს, რომელმაც მეწარმის მიერ უგერგილოდ შესრულებული სამუშაოები მოიწონა.

გზების მოვლა-შენახვის საქმეში არსებულ ხარვეზებზე ჩანჩხალოში, სხეფში, ცინარეთში, ჯაბნიძეებში, წაბლანაში, სამოლეთში, გომარდულში გამართულ კრებებზეც ისაუბრეს.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

# მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით:

***ირაკლი ღარიბაშვილი ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის უსაფრთხოების და თავდაცვის ქვეკომიტეტის წარმომადგენლებს შეხვდა***

საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობაზე გაკეთებული ოფიციალური განაცხადი და საქართველოს მიმართ ევროპარლამენტის ურყევი მხარდაჭერა იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის უსაფრთხოების და თავდაცვის ქვეკომიტეტის წარმომადგენლების შეხვედრის მთავარი განსახილველი საკითხები.



პრემიერ-მინისტრის თქმით, ევროკომისარმა ოლივერ ვარჰეიმ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილს ევროკავშირის წევრობის კითხვარი გადასცა ლუქსემბურგში. უკვე შექმნილია სამუშაო ჯგუფი და ხელისუფლება მობილიზებულია, რომ ბრიუსელში შევსებული კითხვარი უმოკლეს ვადაში გაიგზავნოს. მთავრობის მეთაურის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ასოცირებული ტრიოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესს თან ახლავს ევროკავშირის ინსტიტუტების ურყევი მხარდაჭერა.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა ევროკავშირის სტრატეგიული კომპასის (Strategic Compass) ფარგლებში თანამშრომლობის მნიშვნელობას. აღინიშნა, რომ საქართველო რეგიონში ევროკავშირის საიმედო პარტნიორია, ევროკავშირისა და საქართველოს მაღალი დონის სტრატეგიული უსაფრთხოების დიალოგი ეფექტურ პლატფორმად რჩება და მნიშვნელოვანია შავი ზღვის მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავება, მათ შორის სატრანსპორტო და საკომუნიკაციო კავშირების გაძლიერების კუთხით. ყურადღება გამახვილდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებასა და უსაფრთხოების გამოწვევებზე. მთავრობის მეთაურმა ევროპარლამენტარებს საქართველოს ევროინტეგრაციის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ საქართველო ერთგულია თავისი პოზიციისა, რომ მის ტერიტორიაზე არსებული ყველა კონფლიქტი მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაიჭრას.

მხარეებმა უკრაინაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებების შედეგად რეგიონში შექმნილი უსაფრთხოების გამოწვევები განიხილეს. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველო მხარს უჭერს უკრაინას როგორც პოლიტიკური, ასევე ჰუმანიტარული თვალსაზრისით.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ: ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის უსაფრთხოების და თავდაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ევროპის სახალხო პარტიის პოლიტიკური ჯგუფის წევრი ლუკას მანდლი, ქვეკომიტეტის წევრები: სოციალისტების და დემოკრატების პროგრესული ალიანსის პოლიტიკური ჯგუფის წევრი იუაზა ოლეკასი, სოციალისტების და დემოკრატების პროგრესული ალიანსის პოლიტიკური ჯგუფის წევრი ელენა იონჩევა, ევროპარლამენტის წევრი, ევროპელ კონსერვატორთა და რეფორმისტთა ჯგუფის წარმომადგენელი ლარს პატრიკ ბერგი, ევროკავშირის ელჩი საქართველოში კარლ ჰარცელი, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი გივი თუმანიშვილი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი რევაზ ჯაველიძე.

**ამირან გურიელიძე**

# ცილა - მართლაც პირველი

**ქეთევან კილაძე 593 73 45 74**

***ორგანიზმში მიმდინარე მეტაბოლურ პროცესებში ცილებს განსაკუთრებული როლი უკავია. ცილა იგივე პროტეინია. «პროტეინი» ბერძნული სიტყვაა და «პირველს» ნიშნავს, მართლაც, ცილა სიცოცხლის საწყისია. იგი მაღალმოლეკულური ორგანული ნაერთია, რომელიც ამინომჟავებისგან შედგება და ორგანიზმის საშენ მასალას წარმოადგენს***

საკვებიდან მიღებული ცილები საჭმლის მონელების პროცესში ცალკეულ ამინომჟავებად იშლება, რომელთაგან ორგანიზმი უკვე მისთვის საჭირო ცილებს «აშენებს». მრავალი სახის ამინომჟავისგან ორგანიზმი მხოლოდ 20 მათგანს იყენებს, 12-ს თავად ასინთეზებს, ხოლო 8-ს (ვალინს, ლეიცინს, იზოლეიცინს, ლიზინს, მეთიონინს, ტრეონინს, ტრიპტოფანს, ფენილალანინს, ახალშობილობის პერიოდში - ჰისტიდინს და არგინინს) ვერ წარმოქმნის, ამიტომაც მათ ესენციურ ანუ შეუცვლელ ამონომჟავებს უწოდებენ, რომლებიც ორგანიზმმა აუცილებლად საკვებიდან უნდა მიიღოს.

**ორგანიზმში ცილების ფუნქციებია:**

**სამშენებლო** - ამ ფუნქციას სტრუქტურული ცილები ასრულებს, რომლებიც უჯრედებს - ფორმას, ქსოვილებს კი სიმტკიცეს ანიჭებს. მაგალითად, კერატინის, კოლაგენისა და ელასტინისგან შედგება კანის, ძვლის, ხრტილის ქსოვილები, ასევე მათ შეიცავს მყესები, თმა, ფრჩხილები, იოგები, არტერიის კედლები;

**მამოძრავებელი** - კუმშვადი ცილები, აქტინი და მიოზინი უზრუნველყოფენ კუნთის შეკუმშვას, მოძრაობაში მოჰყავთ სხეული;

**მომმარაგებელი** - ეს ცილები ორგანიზმს სხვადასხვა ნივთიერების მარაგის შევსებაში ეხმარება. მაგ. ცილა ფერიტინი ორგანიზმს ეხმარება რკინის შევსებაში;

**სატრანსპორტო** - ისინი ორგანიზმში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფენ. მაგ. ცილა ჰემოგლობინი ჟანგბადს ფილტვებიდან ორგანიზმში ანაწილებს და ნახშირორჟანგს ფილტვებში აბრუნებს;

**დამცველობითი** - სპეციფიკური ცილები, იგივე ანტისხეულები, რომლებიც ებრძვის პათოგენებს და ორგანიზმს იცავს ინფექციებისგან, სისხლდენის შეჩერებას კი ცილა ფიბრინი ახერხებს.

**კატალიზატორები** - ცილოვანი ბუნების ფერმენტები, რომლებიც ნივთიერებათა ცვლის დროს მიმდინარე ქიმიურ რეაქციებს აჩქარებს ან ანელებს;

**სასიგნალო** - უჯრედის პლაზმურ მემბრანაზე განთავსებული ცილოვანი მოლეკულები - რეცეპტორები, რომლებიც სიგნალს უჯრედის შიგნით გადასცემენ;

**ენერგეტიკული** - 1 გ ცილის დაშლისას 4,1 კკალ გამოიყოფა, რომლის 30% ცილისავე ასათვისებლად იხარჯება. ცილის დაშლა უფრო აქტიურად უმოძრაობის დროს მიმდინარეობს, რაც ამცირებს კუნთურ მასას;

**ჰორმონები** - უმეტესობა ცილოვანი ბუნებისაა, მაგ. ინსულინი, არეგულირებს გლუკოზის დონეს, ზრდაზე პასუხისმგებელი ზრდის ჰორმონი და სხვა.

ცილოვანი საკვების მიღებისას მნიშვნელოვანია ცილების რაოდენობაც და ბიოლოგიური ღირებულებაც, რომელიც განსაზღვრავს, რამდენად შეესაბამება საკვებში შემავალი ცილები ორგანიზმის მოთხოვნილებას, საჭირო ცილებად მათ გარდაქმნას. რაც უფრო მეტი საკუთარი ცილების წარმოქმნა შეუძლია ორგანიზმს საკვებიდან მიღებული ცილის საფუძველზე, მით მაღალია საკვების ბიოლოგიური ღირებულება. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 100-ია. განსაკუთრებული მნიშვნელობა ესენციური ამინომჟავების შემცველობას ენიჭება. რაც უფრო მაღალია, მით უკეთესად აითვისება ცილა. მაღალი ბიოლოგიური ღირებულება აქვს კვერცხს (100), ძროხის რძეს (85), საქონლის ხორცს (87), ქათმის მკერდს (80), კარტოფილს (96), ბრინჯს (82), სიმინდს (72), ხორბალს (59).

სრულფასოვანი (ყველა ესენციური ამინომჟავით) ცილები უმთავრესად არის ცხოველური წარმოშობის საკვებში - საქონლის, ღორის, ფრინველის ხორცი, თევზი, რძე, ხაჭო, ყველი. მცენარეული საკვები კი არასრულფასოვან (აკლია რომელიმე ესენციური ამინომჟავა) ცილებს შეიცავს. მხოლოდ სოია არის სრულყოფილი. თუმცა მცენარეული საკვების სხვადასხვა კომბინაციით ორგანიზმს რვავე ამინომჟავა შეიძლება მივაწოდოთ (სოია, ოსპი, ბარდა, ლობიო, მარცვლეული, წიწიბურა...).



ოპტიმალურია ერთი მესამედი ცხოველური და ორი მესამედი მცენარეული ცილის კომბინაცია.

ცილები განუწყვეტლივ იშლება, ამიტომ აუცილებელია მათი სინთეზი და უწყვეტი განახლება. ორგანიზმს შეუძლია მხოლოდ მცირე რაოდენობის ცილების შენახვა, ამიტომ საკვებიდან ყოველდღიურად უნდა შევავსოთ.

ცილების დღიური ნორმა დამოკიდებულია ადამიანის ასაკზე, მოძრაობაზე, წონაზე, საშუალოდ 0,8-1,0 გ-ია სხეულის მასის ყოველ კილოგრამზე. სადღეღამისო ნორმაზე 10-15 გრამით მეტი უნდა მიიღონ ორსულებმა და მეძუძურმა დედებმა. თუ ნორმაზე მეტ ცილას მივიღებთ, სითხის რაოდენობაც უნდა გავზარდოთ, რადგან დაშლილი ცილა შარდთან ერთად გამოიყოფა. თირკმლის ფუნქციის დარღვევის შემთხვევაში ცილის მიღება უნდა შეიზღუდოს.

ცილოვანი საკვების მიღება ხელს უწყობს კუნთოვანი მასის ზრდას, მაგრამ არც მხოლოდ ცილოვანი პროდუქტით უნდა შემოვიფარგლოთ - დაირღვევა ნივთიერებათა ცვლის პროცესი.

ცილების დეფიციტი შესაძლოა გამოიწვიოს რომელიმე დაავადებამ, დიეტამ, ცილების აუტანლობამ, ძლიერმა და ხანგრძლივმა ფიზიკურმა დატვირთვამ არასაკმარისი ცილოვანი საკვების მიღების ფონზე.

ამინომჟავების დეფიციტი ზიანს აყენებს ჯანმრთელობას: სუსტდება იმუნური სისტემა, მცირდება შრომისუნარიანობა, ფერხდება ზრდა, ირღვევა ნერვული სისტემის ფუნქციონირება, ნელდება სისხლის წარმოქმნა, იშლება კუნთოვანი ფუნქცია, იმატებს მოტეხილობების რისკი.

ცილების ბუნებრივი სტრუქტურის შეცვლა შეუძლია ქიმიურ (მჟავები, მარილები, ორგანული გამხსნელები) და ფიზიკურ (მაღალი ტემპერატურა, მექანიკური ზემოქმედება) ფაქტორებს. ცილის დენატურაცია 42°C-ზე მეტ ტემპერატურაზე იწყება. იგი უფრო ადვილი მოსანელებელია. ხარშვისას წყალში გადადის ცილების მცირე ნაწილი, ორთქლზე დამზადებული პროდუქტი კი თითქმის მთლიანად ინარჩუნებს ცილას.

ბაქტერიებისა და მიკროორგანიზმების ზემოქმედებით ცილები იშლება, იცვლება პროდუქტის სუნი, თვისებები, ამიტომ ერთხელ გამლღვალი პროდუქტი მეორედ აღარ უნდა გავყინოთ; მეორედ გაცხელების შემდეგ ცილოვანი საკვები იცვლის სტრუქტურას და კარგავს კვებით ღირებულებებს. ასევე, დაბალი კვებითი ღირებულება აქვს ხორცის, ბოსტნეულის, სოკოს და სხვა პროდუქტების კონსერვებს.

**რა არის კეტოდიეტა?**

კეტოდიეტა ცილებით მდიდარ რაციონს გულისხმობს. ცხიმოვანი და ნახშირწყლოვანი საკვების შეზღუდვით ორგანიზმს ვაიძულებთ, ენერგია დაგროვილი ცხიმიდან მიიღოს. ამ დროს ცხიმი ინტენსიურად იწვის და ადამიანი სწრაფად იკლებს წონას.

დიეტის დროს აუცილებელია საშუალოდ 2,5 ლ სითხის მიღება დღე-ღამეში, რადგან იზრდება შარდკენჭოვანი დაავადების განვითარების რისკი. ასევე, წყალი აზავებს ცხიმის ჭარბი წვის დროს წარმოქმნილ ტოქსიკურ პროდუქტებს.

ხანგრძლივმა კეტოდიეტამ შესაძლოა ნუტრიენტების დეფიციტი გამოიწვიოს, ამიტომ ბავშვებისა და მოზრდილებისთვის დაუშვებელია. არასწორად შერჩეულმა რაციონმა შესაძლოა დაარღვიოს ნივთიერებათა ცვლა და ამინომჟავების დისბალანსამდე მიიყვანოს. ამიტომ ხანგრძლივი დიეტის დროს რისკის ყველა ფაქტორი ექიმმა უნდა შეაფასოს და ინდივიდუალურად შეარჩიოს რაციონი.

# ახალი ქართული რეკორდი!

ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში „კლივლენდ კავალიერსმა“ „მილუოკი ბაქსს“ უმასპინძლა და 133:115 დაამარცხა.



სტუმართა რიგებიდან ლიდერების არყოფნაში სანდრო მამუკელაშვილმა შესანიშნავი შეხვედრა ჩაატარა - ქართველმა კალათბურთელმა თავი 28 ქულით (10/18), 13 მოხსნით, 4 შედეგიანი გადაცემითა და 1 ჩაჭრით გამოიჩინა. აღსანიშნავია, რომ „კავალიერსის“ უპირატესობა ერთ მომენტში 40 ქულაც იყო. ჩვენებურის თაოსნობით მოქმედმა ჩემპიონებმა სხვაობა 12 ქულამდეც შეამცირეს, თუმცა საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ. სანდროსთვის ხსენებული 28 ქულა კარიერაში საუკეთესო (NBA-ს) შედეგია. აქამდე ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში ქართველებიდან შედეგიანობის რეკორდი ზაზა ფაჩულიას ეკუთვნოდა - 27.

**ამირან გურიელიძე**

**გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს.**

**ტელ: 27 48 93.**

ასლან, ნონა ვარშანიძეები, იზო ჭახაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ირაკლი და იამზე დუმბაძეებს ბიძის

**ნოდარ დუმბაძის**

გარდაცვალების გამო.

**მთავარი რედაქტორი** **მარინა მითაიშვილი**

**გამომშვები რედაქტორი** **ირმა შერვაშიძე**

**ლიტერატურული რედაქტორი** **ეთერ ხომერიკი**

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

**გამომცემელი** - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»

**პოლიგრაფიული მომსახურება** - შპს «კოლორ პრესი»

მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

**მისამართი:** 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2[a]

ტელ: 27-13-31

აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 11/04/22, 20[40] სთ.

**დირექტორი** **მამუკა ბერიძე**

# ბათუმის კაპელა იტალიელი მსმენელის წინაშე ღირსეულად წარსდგა

*4-8 აპრილს ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის კაპელა (მცირე შემადგენლობით), წმინდა საყდართან საქართველოს საელჩოს, პეზაროს რენატა ტებალდისა და მარიო დელ მონაკოს აკადემიისა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანამშრომლობით, იტალიის დედაქალაქ რომში იმყოფებოდა. წმინდა პავლეს სააბატოს ულამაზეს ბაზილიკაში - „სან პაოლო ფუორი ლე მურა“ კონცერტი გამართა.*



საღამოზე ჯოვანი ბატისტა პერგოლეზის 285 წლისთავისადმი მიძღვნილი „სტაბატ მატერი“ შესრულდა. ბაზილიკის სამუსიკო ოფისი ხშირად უწევს ორგანიზებას საინტერესო კონცერტებს, რადგან აქ უამრავი ტურისტი მოდის მთელი მსოფლიოდან.

ღონისძიება საქართველოსა და წმინდა საყდარს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლის იუბილეს ეგიდით გაიმართა. კონცერტში მონაწილეობდნენ საოპერო სოლისტები ნინო ლეჟავა (სოპრანო), ნატალია ვოლჩენკო (მეცოსოპრანო) და ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის კაპელა (ქორმაისტერი - ლელა დოლიძე). კონცერტს, მოწვეულ სხვა სტუმრებთან ერთად, წმინდა საყდართან აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ვატიკანის სახელმწიფო სამდივნოს, აკადემიური წრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა საქართველოს ელჩმა იტალიაში ქეთევან ბაგრატიონმა. მან წუხილი გამოთქვა უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო, რაც საქართველოსთვისაც არ არის უცხო. ქალბატონმა ელჩმა ხაზი გაუსვა საერთაშორისო თანამეგობრობის სოლიდარობის და ერთად დგომის მნიშვნელობას მშვიდობის უზრუნველყოფაში.

„სტაბატ მატერი“ - ღვთისმშობლის გოდება გარდამოხსნილი იესოს ცხედართან ყველა უკრაინელ დედას, ზოგადად, შვილებზე მგლოვიარე დედებს მიეძღვნა. ქეთევან ბაგრატიონმა მადლობა გადაუხადა კონცერტში მონაწილე თითოეულ წევრს, ყველას, ვისი თანადგომითაც მოეწყო ეს საინტერესო საღამო.

ხარების დღესასწაულის აღსანიშნავად, კონცერტის ბოლო ნომრად საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის „ავე მარია“ შეასრულა ჩვენმა კაპელამ (სოლისტი - ნინო ლეჟავა, ქორმაისტერი - ქეთევან მანელიშვილი).

შეკრებილთ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სახელით მიმართა სამინისტროს საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსმა თეა ჭანტურიშვილმა, რომელმაც ამ ღონისძიების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.



კონცერტთან დაკავშირებით, „აჭარა“ იტალიაში ესაუბრა პეზაროს რენატა ტებალდისა და მარიო დელ მონაკოს აკადემიის მრჩეველსა და მენეჯერ ლიკა ლეჟავას (აღნიშნული აკადემიის დირექტორი გახლავთ ნინო ლეჟავა), რომელმაც გვითხრა:

- წელს ჩვენი აკადემია დაარსების 20 წლის იუბილეს აღნიშნავს. ამასთან დაკავშირებით არაერთი ღონისძიება დავგეგმეთ. გვერდს ვერ ავუვლიდით მნიშვნელოვან თარიღს - პერგოლეზის გარდაცვალებიდან და „სტაბატ მატერის“ პირველი შესრულებიდან 285 წლისთავს. მოგვიანებით ამ ღონისძიებას თბილისშიც გავმართავთ, იქ აკადემიის ფილიალი გვაქვს. პროექტი შევთავაზეთ საქართველოს საელჩოს ვატიკანში, ქალბატონ ქეთევან ბაგრატიონს, რომელსაც ჩვენი იდეა ძალიან მოეწონა და შემოგვთავაზა, იგი საქართველოსა და ვატიკანის დიპლომატიური ურთიერთობის 30 წლისთავის ეგიდით გაგვეკეთებინა. მოგეხსენებათ, ამ ნაწარმოებს გუნდი არ ასრულებს - მხოლოდ ორგანი, სოპრანო და კონტრალტო. სხვათა შორის, ჯანსულ კახიძემ, როდესაც ნინო ლეჟავა პირველად აიყვანა სოლისტად (ის მაშინ ერთდროულად ფილარმონიის სოლისტიც გახდა), „სტაბატ მატერში“ ორკესტრთან ერთად იმღერა. კონტრალტოს მაშინაც ნატალია ვოლჩენკო ასრულებდა. კონცერტში ასევე მონაწილეობდა გელა ფარჩუკიძის ბიჭუნათა გუნდი. ეს იყო პირველი შემთხვევა, რადგან ევროპაში არ სრულდება გუნდთან ერთად. ამიტომაც გახლდათ გამორჩეული ეს პროექტი. ბათუმის კაპელასთან 4-წლიანი ურთიერთობა გვაკავშირებს. ჯერ ქეთევან მანელიშვილს დავუკავშირდით, შემდეგ საელჩო ჩავაყენეთ საქმის კურსში... ოპერატიულად გადაწყდა ყველაფერი. სასიხარულოა, რომ იდეა საუკეთესოდ განხორციელდა, შედეგიც გამოჩნდა - გუნდმა ბრწყინვალედ იმღერა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთით განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო კონცერტში მონაწილე მუსიკოსებს, სოლისტებს ნინო ლეჟავასა და ნატალია ვოლჩენკოს, ცნობილ იტალიელ მაესტროს, რომის სეზარ ფრანკის და ბარსელონას ორგანის საერთაშორისო ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელს, პაპის ორგანისტს, ბენევენტოს კონსერვატორიის დოცენტ ხუან პარადელ სოლეს, კონცერტმაისტერ თამარ თოფურიძეს, კაპელის თითოეულ წევრს დაუღალავი შემოქმედებითი მუშაობისთვის. მადლობა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის დირექტორ გიორგი მიქელაძეს, მის მოადგილე ქეთევან მანელიშვილს, მთავარ ადმინისტრატორს ჯაბა სალუქვაძეს. რომ არა მათი თანადგომა, ჩვენი კაპელა ამ მნიშვნელოვან პროექტში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, - აღნიშნა ლიკა ლეჟავამ.

- ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ბათუმის კაპელის ისტორიაში ჩემი წვლილი შემაქვს, ჩვენ - დები ლეჟავები (ყველა ასე გვეძახის), ყოველთვის თქვენ გვერდით ვიქნებით, - გვითხრა სოლისტმა ნინო ლეჟავამ.

## სოლიდარობა უკრაინას – სულხან ჯაიანმა პარიზში იმღერა

უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს მთელი მსოფლიო ეხმაურება. პროგრესული კაცობრიობა თანაუგრძნობს გმირ უკრაინელ ხალხს, რომელიც ერთ მუშტად შეიკრა და თავდაუზოგავად ებრძვის აგრესორს. სოლიდარობას ყველა სხვადასხვა ფორმით გამოხატავს. ბევრგან ტარდება საქველმოქმედო საღამოები, სადაც შემოსული თანხა უკრაინის დასახმარებლად იგზავნება. ასე იყო პარიზშიც. შოპენის სახელობის კონსერვატორიაში გამართულ საქველმოქმედო საღამოში - „სოლიდარობა - უკრაინას“, უცხოელ საოპერო მომღერლებთან ერთად, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სოლისტი სულხან ჯაიანი გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ კონცერტში მონაწილეობდნენ ჩვენთვის კარგად ცნობილი და უცხოეთში წარმატებით მოღვაწე ქართველი მომღერლები ნონა ჯავახაძე, მარინა ზვიადაძე-ჰელერი, კონცერტმაისტერი ნინო ფავლენიშვილი, ასევე ოდრი ფეიმბურგი და გიორგი ვანი.

საქველმოქმედო საღამოზე შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხა UNICEF-ში უკრაინელი ბავშვების დასახმარებლად.



## „გულიდან გულამდე“ – შეხვედრა მეგობრობის სახლში

***ბათუმის მეგობრობის სახლში უკრაინელი და ქართველი ბავშვების შეხვედრა გაიმართა. მათ თავიანთი ქვეყნების ტრადიციები, კულტურა წარმოაჩინეს***

როგორც უკრაინა-საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ედნისტის“ თავმჯდომარე ნატალია მიროშნიჩენკომ გვითხრა, ისინი მუდამ გვერდით უდგანან უკრაინელებს, იზიარებენ მათ დარდსა თუ სიხარულს. მიმდინარე მოვლენების გამო, საქართველოში, მათ შორის ბათუმში, უკრაინიდან ათობით ოჯახი ჩამოვიდა.

- გვინდოდა უკრაინიდან ჩამოსული ბავშვებისთვის ერთი ლამაზი დღე გვეჩუქებინა. ისინი ქართველ თანატოლებს შევახვედრეთ, რათა გაცნობოდნენ ქართულ კულტურას, ასევე, პირიქით. საღამოზე ნათლად გამოჩნდა, როგორ უყვართ ბავშვებს საკუთარი ქვეყანა. ახლა ჩვენს ორგანიზაციაში უკრაინიდან ჩამოსული 100-მდე ოჯახია დარეგისტრირებული. დღეს აქ თითქმის ნახევარი მოვიდა. შევეცდებით, კვლავაც გავმართოთ ასეთი შეხვედრები, რათა უკრაინელ ბავშვებს ცოტათი მაინც დავავიწყოთ ომის საშინელება, - გვიითხრა ნატალია მიროშნიჩენკომ.



შეხვედრაზე ქართული ცეკვებით წარსდგა ბათუმის მეათე საჯარო სკოლასთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „მათე“ (ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი მიხეილ მახათაძე), რომელმაც რამდენიმე ცეკვა - „ქართული“, „ოსური“, „აფხაზური“, „განდაგანა“ შეასრულა და უკრაინელი თანატოლები მოხიბლა. საინტერესო იყო ისიც, რომ „მათეს“ მოცეკვავეებმა სტუმრებს ქართულ ცეკვაში მასტერკლასი ჩაუტარეს - რამდენიმე ილეთი შეასწავლეს, რაც ძალიან მოეწონათ პატარებს.

შეხვედრის მონაწილეებს თავისი ხელოვნება გააცნო ქალაქ ვინიცადან ჩამოსულმა ბოშათა ანსამბლმა.

- ანსამბლში მე, ჩემი შვილი დავიდი, დედა - გალინა, ასევე ჩვენი მეგობარი - დიანა ივჩენკო ვართ. ბათუმში მარტის ბოლოს ჩამოვედით, ჯერჯერობით, სასტუმროში ვცხოვრობთ უფასოდ. პოლონეთი, ჩეხეთი გამოვიარეთ, სანამ აქ ჩამოვიდოდით. ძალიან მოგვეწონა საქართველო, ქართველი ხალხი, გულთბილად მიგვიღეს, მხარში ამოგვიდგნენ. დიდი მადლობა ყველას ასეთი მასპინძლობისთვის, - თქვა დიანა კოვალმა.

- დედასთან, 10 და 12 წლის შვილებთან ერთად ჩამოვედი უკრაინიდან. როგორც კი დაბომბვა დაიწყო, საქართველოსკენ გამოვემგზავრეთ. რუმინეთის, ბულგარეთისა თურქეთის გავლით ჩამოვედით ბათუმში. აქ გვეხმარებიან ტანსაცმლით, საკვებით... ახლა ნაცნობებთან ვცხოვრობთ, უფასოდ ვიკვებებით, „ედნისტი“ ძალიან გვიდგას გვერდით. ხედავთ, როგორი გულთბილი შეხვედრა მოგვიწყვეს... ყველაფერს აკეთებენ, რომ ბავშვები გაახალისონ. ჩემი შვილებიც მონაწილეობდნენ ამ კონცერტში. მიხარია, რომ ისინი რამდენიმე საათით მაინც გამხიარულდნენ, - გვითხრა კიეველმა ელენა პრისტუპამ.

ლილია ლისენკოც კიევიდანაა, აქ 12 მარტს ჩამოვიდა. ამბობს, რომ ასეთი შეხვედრები ძალიან სჭირდებათ მათ ბავშვებს.

- დღეს ჩემი შვილიც გამოვიდა, ძალიან მოეწონა ქართული ცეკვები. გვიხარია, რომ უკვე მიგვიპატიჟეს ანსამბლში თქვენი ცეკვების შესასწავლად, თანაც - უფასოდ. ჩვენმა ნაცნობებმა დაგვითმეს საცხოვრებელი, ყველა პირობა გვაქვს. დედა, და და ჩემი სიძე ლვოვში დარჩნენ. იქ ცხოვრება ჯერჯერობით შეიძლება. მადლობა თქვენ ასეთი თანადგომისთვის, - გვითხრა ლილია ლისენკომ.

- ქალბატონმა ნატალიამ ნამდვილი დღესასწაული მოუწყო პატარებს. მთავარია, ბავშვები იყვნენ ბედნიერები, იღიმებოდნენ. რთული იყო პირველი დღეები, სტრესში იყვნენ, ნელ-ნელა გადადის დარდი მათი სახეებიდან, იხსნებიან. ეს ნატალიას დამსახურებაა. ბავშვებს არ უნდათ ომი, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მათ დარდი შევუმსუბუქოთ, ამაში ყველა ერთად ვართ ჩართული, - თქვა უკრაინის საპატიო კონსულმა ქალაქ ბათუმში როსტომ ნაკაშიძემ.

მეგობრობის სახლის ფოიეში უკრაინელი და ქართველი ბავშვების ნამუშევრების გამოფენა გაიმართა.

**გვერდი მოამზადა მანანა ძიძიშვილმა**